პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ფასი 10 კაპ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

პარასკევი
4
დეკემბერი
1936 წ.
№ 270 (4779)

თუ კაპიტალისტური ქვეყნების ხალხთათვის სსრ კავშირის კონსტიტუციას მოქმედებათა პროგრამის მნიშვნელობა ექნება, სსრ კავშირის ხალხთათვის მას აქვს მათი ბრძოლის შეჯამების, კაცობრიობის განთავისუფლების ფრონტზე მათ გამარჯვებათა შეჯამების მნიშვნელობა.

ი. სტალინი

სსრ კავშირის ხალხთა რჩეულნი

საბჭოთა ქვეყნის პატრონმა — **საბჭოების** სრულიად-საკავშირო საგანგებო მე-8 ყრილობამ გუშინ ერთსულოვნად მოიწონა და საფუძვლად მიიღო სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტი. ამით ყრილობის დელეგატებმა — საბჭოთა კავშირის მშრომელთა რჩეულებმა გამოხატეს მათ წარმგზავნ ხალხთა აზრი და ნებისყოფა. ყრილობამ აირჩია სარედაქციო კომისია შეტანილ შესწორებათა და დამატებათა განსახილველად და სსრ კავშირის კონსტიტუციის საბოლოო ტექსტის დასადგენად. გაივლის რამდენიმე დღე — და სტალინური კონსტიტუცია საბოლოოდ გახდება გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის ურყევ კანონად.

სოციალისტურმა დემოკრატიზმმა ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვის ხასიათში თავისი ბრწყინვალე გამოხატულება ჰპოვა. ჩვენს გამარჯვებათა ასეთსავე ბრწყინვალე გამოხატულებას წარმოადგენს თვით შემადგენლობა ყრილობის დელეგატებისა — იმათი შემადგენლობა, რომელთაც სსრ კავშირის ხალხებმა დიდი პატივი არგუნეს, მიანდეს რა მათ ახალი კონსტიტუციის დამტკიცება.

საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო მე-8 ყრილობის დელეგატთა შემადგენლობის ანალიზი, რომელიც ამხ. იაკოვლევმა მოგვცა ყრილობის სამანდატო კომისიის მოხსენებაში, თვალნათლივ გვიჩვენებს, თუ რა დიდია სოციალისტური დემოკრატიზმის ძალა, რა შესანიშნავი ადამიანები გაიზარდნენ და გამოიწრთონენ საბჭოთა მიწაზე, რა მდიდარი და მშვენიერი გახდა თვით ეს მიწა, ბოლშევიზმის გუთნით მოხნული.

ჩვენს ქვეყანაში სტალინურ ხუთწლედთა წლების მანძილზე შეიქმნა მრავალი ქალაქი და მთელი რაიონები, რომელნიც იქ იფურჩქნებიან, სადაც წინათ უდაბური ველი ან მდუმარე მთები იყო. საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო მე-8 ყრილობის ცოტა დელეგატები როდი გამოგზავნეს იმ ქალაქებისა და რაიონების მშრომელებმა, რომლებიც სსრ კავშირის პირველი კონსტიტუციის მიღების დღეებში სრულიად არ არსებობდნენ. მაგნიტოგორსკი, კიროვსკი, კომსომოლსკი, სტალინოგორსკი, მაგადანი ხომ წინათ თეთრი წერტილები იყო თვალუწვდენელი სსრ კავშირის რუკაზე. ახლა იქ მსხვილი ქალაქებია, და მათი დელეგატები ყრილობაზე — სოციალიზმის შემოქმედებითი გენიის ერთერთ უაღრესად ნათელ განსახიერებას წარმოადგენენ.

ყრილობის დელეგატთა შორის 847 მუშაა, — ყველა დელეგატთა 42 პროცენტი. რასაკვირველია, მუშათა ასეთი რაოდენობა სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში არასოდეს არ ყოფილა და არც შეიძლება იყოს არცერთ სხვა ქვეყანაში. პარლამენტები კაპიტალისტურ სახელმწიფოებში — ყველაზე უფრო დემოკრატიულ სახელმწიფოებშიაც კი — ბანკირებით, მეკარხნეებით, მემამულეებით და მათი ვექილებით არიანავსილი. ამით განსხვავდება ჩვენი სამშობლოს საბჭოების ყოველი ყრილობის შემადგენლობა ყოველი ბურჟუაზიული პარლამენტის შემადგენლობისაგან. მაგრამ საბჭოების სრულიად საკავშირო საგანგებო მე-8 ყრილობა განსხვავდება საბჭოების წინანდელი ყრილობებისაგანაც. განსხვავდება იმით, რომ ამ ყრილობაზე წარმოდგენილი მუშათა კლასი, გლეხების კლასი და ინტელიგენცია უკვე სრულიად სხვანაირი არიან, ვიდრე იყვნენ კაპიტალიზმის პერიოდში და საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშიც კი.

ყრილობის 416 დელეგატი მუშა და მუშა-ქალია უშუალოდ წარმოებიდან - ქარხნებიდან, რკინიგზებიდან, საბჭოთა მეურნეობებიდან, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებიდან.

მაგრამ განა ესენი წინანდელი პროლეტარები არიან? არა! ესენი ახალი ტიპის მუშები არიან, სწორედ ისევე, როგორც ახლა მთელი „მუშათა კლასი სსრ კავშირისა სრულიად ახალი, ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებული მუშათა კლასია, რომლის მსგავსი კაცობრიობის ისტორიას ჯერ არ უნახავს". (სტალინი). მუშა, ყრილობის დელეგატი, ეს არის სტახანოვი, რომლის სახელიც ეწოდა სოციალიზმის ეპოქის უშესანიშნავეს მოძრაობას. მუშები, საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო მე-8 ყრილობის დელეგატები — ესენი არიან ბუსიგინი, კრივონოსი, მაზაი, სმეტანინი, იზოტოვი, სტალინის მიერ გამოზრდილნი, რომელნიც თავს გრძნობენ ახალი ცხოვრების პატრონად, საბჭოთა სახელმწიფოს პატრონად. ესენი არიან ადამიანები, რომელთაც აანთეს შრომის უმაგალითო მაღალი ნაყოფიერების ჩირაღდნები, ესენი არიან სოციალისტური წარმოების მოწინავენი.

ასევე სოციალისტური შრომის მოწინავენი არიან ყრილობის დელეგატი გლეხები. და ისინი იძლევიან სსრ კავშირის კლასობრივი სტრუქტურის ძირეულად შეცვლის ჩინებულ ილუსტრაციას. მთელი ყრილობა მქუხარე ტაშით შეხვდა იმ შედარებას, რომელიც ამხ. იაკოვლევმა მიიყვანა სამანდატო კომისიის მოხსენებაში: საბჭოების მეორე ყრილობაზე, რომელმაც სსრ კავშირის პირველი კონსტიტუცია მიიღო 1924 წელს, ყველა დელეგატი გლეხი **ერთპიროვნული მეურნე** იყო; საბჭოების სრულიად-საკავშირო მე-8 ყრილობაზე, რომელიც ამჟამად სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციას ღებულობს, ყველა დელეგატი გლეხი **კოლმეურნეა**.

განა მარტო ეს ფაქტი უცხადესად არ მოწმობს, რომ საბჭოთა სოფელში მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ცვლილებები მოხდა?

ჩვენი, საბჭოთა გლეხობა, როგორც ეს ბრწყინვალედ ჩანს ყრილობის დელეგატ გლეხთა შემადგენლობიდან, „ახალი გლეხობაა, რომლის მსგავსი ჯერ კაცობრიობის ისტორიას არ უნახავს". ესენი არიან მსოფლიოში ყველაზე მსხვილი მიწათმოქმედების, **სოციალისტური მიწათმოქმედების** პატრონნი და მონაწილენი.

სტალინური კონსტიტუცია პირველად აცხადებს მსოფლიოში ქალის ნამდვილ თანასწორობას მამაკაცთან. ხალხთა რჩეულნი მე-8 ყრილობაზე ეს იმის ნათელი ილუსტრაციაა, რომ სტალინური კონსტიტუციის ეს მუხლებიც განხორციელებულია, რეალიზებულია, ცხოვრებაში გატარებულია.

სამოცდასამ ეროვნებას წარმოადგენენ დელეგატები საბჭოების საგანგებო მე-8 ყრილობაზე. ყველა ისინი სოციალისტური მშენებლობის თანასწორუფლებიანი მონაწილენი არიან, და თვითეული ამ დელეგატთაგანი სსრ კავშირში ნაციონალურ კულტურათა სწრაფი ზრდის, საბჭოთა კავშირში ყოველი ნაციონალური რესპუბლიკის, ოლქის, ოკრუგის, რაიონის ეკონომიური ძლიერების სწრაფი ზრდის ცოცხალი განსახიერებაა.

ჩვენი ერთიანი საკავშირო სახელმწიფოს სიმტკიცესა და უძლეველობას მოწმობს საბჭოების საგანგებო ყრილობის ყველა დღე. ეს ყრილობა, რომელმაც სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტი მოიწონა და საფუძვლად მიიღო, მთელ მსოფლიოს უჩვენებს ჩვენი სამშობლოს ყველა მშრომელის აზრისა და საქმის ერთიანობას, ხალხთა შემჭიდროვებას კომუნიზმის დროშის, ლენინ-სტალინის პარტიის დროშის ირგვლივ. (საქტესი).

„პრავდის" მოწინავე, 4/XII.

თამბაქოს დამზადება

(ტელეგრაფით ლაგოდეხიდან)

თამბაქოს 1936 წლის მოსავლის დამზადების ოქტომბრის და ნოემბრის გეგმა 1 დეკემბრისათვის შესრულებულია გადაჭარბებით—715 ტონის ნაცვლად დამზადებულია 730 ტონა თამბაქო. გეგმა შესრულებულია 102 პროცენტით. აქედან მეორე ხარისხის თამბაქო არის 2 ტონა, მესამისა—34, მეოთხისა—348, მეხუთისა—346.

შევუდექით დეკემბრის გეგმის შესრულებას.

საქ. კ.პ. (ბ) ლაგოდეხის რაიკომის მდივანი ა. რამიშვილი.
რაიაღმასკომის თავმჯდომარე ი. ბექაშვილი.
საფერმენტაციო ქარხნის დირექტორი წერეთელი.

◇ ○ ◇

უკანასკნელი ცნობები

მთავრობის ჯარების წარმატებანი

პარიზი, 3 დეკემბერი (საქტესი). როგორც ჰავასის სააგენტო მადრიდიდან გადმოგვცემს, მონტოროდან (კორდოვის პროვინცია) მიღებული ცნობებით, რესპუბლიკელთა ჯარებმა ააფეთქეს ბელმეს-პენიაროიას რკინიგზა პოსობლანკოს რაიონში.

ბილბაოდან მიღებული ცნობებით, გუშინ მთავრობის ჯარებმა გაჰფანტეს მტერი, რომელიც ცდილობდა დახმარება გაეწია ვილიარეალში ალყაშემორტყმულ მეამბოხეთათვის. მთავრობის ჯარებმა ვილიარეალის იქით წინ წაიწიეს ხუთი კილომეტრით.

ხიხონიდან მიღებული ცნობით, მეამბოხეებმა მოახდინეს სამოქალაქო მოსახლეობის ევაკუაცია გრადოდან (ოვიედოს დასავლეთით).

ბარსელონა, 2 დეკემბერი (საქტესი). დღეს ბისკაის ფრონტზე მთავრობის ჯარებმა ბრძოლით წინ წაიწიეს 10 კილომეტრით და დაიკავეს მთელი რიგი სოფლები, რომლებიც მდებარეობენ 30 კილომეტრის მანძილზე ვიტორიიდან. კონდიიანოს უბანზე რესპუბლიკელთა მხარეზე გადმოვიდა მეამბოხეთა კავალერიის ესკადრონი 110 კაცის რაოდენობით.

ასტურიის ფრონტზე ოვიედოს რაიონში ბრძოლები გრძელდება. რესპუბლიკელთა ჯარებმა ხელთ იგდეს მეამბოხეთა რვა ტყვიამფრქვევი და სხვა ნადავლი.

მადრიდის ახალი ბომბარდირება მეამბოხეების მიერ

პარიზი, 3 დეკემბერი (საქტესი). როგორც ჰავასის სააგენტო მადრიდიდან გადმოგვცემს, დღეს 8 საათსა და 30 წუთზე (11 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით) მეამბოხეთა თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს მადრიდს.

საბჭოების საგანგებო VIII ყრილობა

ამხ. ი. ა. იაკოვლევის მოხსენება

(საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო VIII ყრილობის სამანდატო კომისიის თავმჯდომარე)

I

ყრილობის შემადგენლობის საერთო ცნობები

სამანდატო კომისიამ განიხილა და სწორად სცნო საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო მე-8 ყრილობის 2.016 დეპუტატის მანდატი გადამწყვეტი ხმით.

სსრკ საბჭოების მე-2 ყრილობაზე 1924 წელს, რომელმაც დაამტკიცა სსრ კავშირის ამ ყრილობამდე მოქმედი კონსტიტუცია, იყო 1.535 დეპუტატი.

არჩევნები სსრ კავშირის საბჭოების მე-2 ყრილობისა და სსრ კავშირის საბჭოების საგანგებო მე-8 ყრილობისათვის ხდებოდა ერთ და იმავე საარჩევნო ნორმების საფუძველზე. მაშასადამე, 481 დეპუტატის მომატება მოხდა სსრ კავშირის მოსახლეობის საერთო ზრდისა და ქალაქთა მოსახლეობის ზრდის შედეგად.

მანდატთა რიცხვის ამ მომატების სსრ კავშირის მოსახლეობის ნამდვილ ზრდასთან შესაბამისობის შესამოწმებლად სამანდატო კომისიამ მიმართა სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ცენტრალურ სამმართველოს. სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ცენტრალურმა სამმართველომ აცნობა სამანდატო კომისიას, რომ სსრ კავშირის მოსახლეობის მატება სსრ კავშირის საბჭოების მე-2 და მე-8 ყრილობებს შორის შეადგენს არანაკლებ 30 მილიონი კაცისა **(ტაში).**

უნდა აღინიშნოს, რომ ეს მატება უდრის, პოლონეთის ახლანდელი მოსახლეობის 90 პროცენტს **(ტაში).**

შევადაროთ კიდევ გერმანიას: ეს მატება შეადგენს გერმანიის ახლანდელი მოსახლეობის არა ნაკლებ 40 პროცენტისა და 6-ჯერ მეტად აღემატება გერმანიის მოსახლეობის მატებას იმავე ვადის განმავლობაში **(ტაში).**

შეუდარა რა დეპუტატთა რაოდენობა მოსახლეობის შესახებ ცნობებთან, სამანდატო კომისიამ განიხილა და სწორად სცნო გადამწყვეტი ხმის მქონე მანდატების რიცხვი 2.016 რაოდენობით, მათ შორის სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტით გათვალისწინებული რესპუბლიკების მიხედვით.

რუსეთის საბჭოთა ფედერატიულ სოციალისტურ რესპუბლიკას 1310 მანდატი;
უკრაინის სსრ — 370 მანდატი;
ბელორუსიის სსრ — 62 მანდატი;
აზერბაიჯანის სსრ—40 მანდატი;
საქართველოს სსრ — 37 მანდატი;
სომხეთის სსრ — 13 მანდატი;
თურქმენთა სსრ — 16 მანდატი;
უზბეკთა სსრ — 65 მანდატი;
ტაჯიკთა სსრ — 14 მანდატი;
ყაზახთა სსრ — 75 მანდატი;
ყირგიზთა სსრ — 14 მანდატი.

რსფსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მიხედვით, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციით, სამანდატო კომისიამ დაამტკიცა ქვემოთმოყვანილი რაოდენობა მანდატებისა გადამწყვეტი ხმით:

თათართა ასსრ — 28 მანდატი;
ბაშკირთა ასსრ — 29 მანდატი;
დაღესტნის ასსრ — 10 მანდატი;
ბურიატ-მონღოლეთის ასსრ — 9 მანდატი;
ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ — 4 მანდატი;
ყალმუხთა ასსრ — 3 მანდატი;
კარელიის ასსრ — 5 მანდატი;
კომის ასსრ — 2 მანდატი;
ყირიმის ასსრ — 14 მანდატი;
მარიის ასსრ — 5 მანდატი;
მორდვის ასსრ — 12 მანდატი;
ვოლგის მხრის გერმანელთა ასსრ — 6 მანდატი;
ჩრდილო-ოსეთის ასსრ — 4 მანდატი;
უდმურტთა ასსრ — 9 მანდატი;
ჩაჩნო-ინგუშეთის ასსრ — 8 მანდატი;
ჩუვაშთა ასსრ — 9 მანდატი;
იაკუტიის ასსრ — 3 მანდატი.

მთელი რიგი ქალაქები და საწარმოები, რომლებიც წარმოდგენილნი არიან ამ ყრილობაზე, არ ყოფილან წარმოდგენილნი 1924 წელს.

დავასახელებ ზოგიერთს ამ ქალაქთა და საწარმოთაგანს.

მაგნიტოგორსკი, რომელშიც ირიცხება 200 ათასზე მეტი მცხოვრები,
პროკოპიევსკი, რომელშიც ირიცხება 100 ათასზე მეტი მცხოვრები,
ყარაგანდა, რომელშიც ირიცხება 150 ათას მცხოვრებზე მეტი;
სტალინოგორსკი, რომელშიც ირიცხება 70 ათას მცხოვრებზე მეტი;
კიროვსკი, რომელშიც ირიცხება 35 ათას მცხოვრებზე მეტი;
კომსომოლსკი, რომელშიც ირიცხება 50 ათას მცხოვრებზე მეტი,
ბერეზნიკი, რომელშიც ირიცხება 80 ათას მცხოვრებზე მეტი;
ლენინსკ-კუზნეცკი, რომელშიც ირიცხება 66 ათას მცხოვრებზე მეტი.

ეს ქალაქები არ ყოფილან წარმოდგენილნი საბჭოების ყრილობაზე 1924 წელს, ვინაიდან ისინი მაშინ არც არსებობდნენ. ეს უდიდესი ინდუსტრიული ქალაქები, როგორც მრავალი და მრავალი სხვა, ლითონის, ქვანახშირის, ქიმიის, ავიაციისა და გემშენებლობის ციხე-სიმაგრენი საბჭოთა ხელისუფლებამ ააგო ამ ყრილობებს შუა მოქცეულ პერიოდში, ახორციელებდა რა სტალინურ ხუთწლედებს **(ხანგრძლივი ტაში).**

სამანდატო კომისიამ მომანდო მე აგრეთვე მოგახსენოთ ახალ საწარმოთა სია, რომელთაგანაც ესწრებიან დეპუტატები ამ ყრილობას და რომელთაგანაც არ ყოფილან დეპუტატები საბჭოების მე-2 ყრილობაზე. ამ ახალ საწარმოებს, რომელნიც აშენებული არიან სტალინური ხუთწლედების განმავლობაში, ეკუთვნიან სხვა ასეულ საწარმოთა შორის, მაგალითად, შემდეგნი:

ჩელიაბინსკის სტალინის სახელობის სატრაქტორო ქარხანა;
სტალინგრადის ძერჟინსკის სახელობის სატრაქტორო ქარხანა;
ხარკოვის ორჯონიკიძის სახელობის სატრაქტორო ქარხანა;
გორკის მოლოტოვის სახელობის საავტომობილო ქარხანა;
მოსკოვის სტალინის სახელობის საავტომობილო ქარხანა;
მოსკოვის კაგანოვიჩის სახელობის ბურთულა-საკისართ ქარხანა;
უფის სამოტორო ქარხანა;
ზაპოროჟსტალი;
სარატოვის კომბაინთა ქარხანა;
კუზნეცკის მეტალურგიული ქარხანა;
მაგნიტოგორსკის მეტალურგიული ქარხანა;
მოსკოვის მეტრო;
ვოლგა-მოსკოვის არხის მშენებლობა;
კრამატორის სტალინის სახელობის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხანა;
სტალინოგორსკის სტალინის სახელობის ქიმიური კომბინატი;
კემეროვოს ენერგოქიმიური კომბინატი;
სოლიკამსკის კალის კომბინატი;
„ქუზბასუგოლი";
„ყარაგანდაუგოლი";
სინთეტიკური კაუჩუკის ქარხნები;
საავიაციო ქარხნები;
ბაშკირეთის ნავთსადენი ქარხანა;
პეტროპავლოვსკის ხორცკომბინატი;
ტაშკენტის საფეიქრო კომბინატი;
საქართველოს ფეროშენადნობის ქარხანა;
ივანოვოს რეზინის კომბინატი;
ბურიატ-მონღოლეთის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხანა;
ირკუტსკის მანქანათმშენებელი ქარხანა, რომელიც ამზადებს მანქანებს ოქროს მრეწველობისათვის.

ეს საწარმოები, ისე როგორც ასობით სხვები, საბჭოთა ხელისუფლებამ ააგო სტალინური ხელმძღვანელობით სსრ საბჭოების მე-2 ყრილობის შემდეგ განვლილი დროის მანძილზე **(ტაში).**

ჩვენი საბჭოების ყრილობის შემადგენლობაში წარმოშობის მიხედვით სულ არის: მუშა — 42 პროც., გლეხი — 40 პროც., ინტელიგენცია — 18 პროც. თავისი ძირითადი მუშაობის მიხედვით ყრილობის დეპუტატები ნაწილდებიან შემდეგნაირად: 19 პროც. — წარმოების მუშა, 14 პროც. — გლეხი, 7 პროც. — წითელი არმიის დელეგატი, 16 პროც. — სასოფლო საბჭოებისა და რაიაღმასკომების თავმჯდომარეები, 18 პროც. — საბჭოების სამხარეო, საოლქო და ცენტრალური რესპუბლიკური აღმასრულებელი კომიტეტების წევრები, 16 პროც. — პარტიულ ორგანიზაციათა და პროფესიულ კავშირთა მუშაკები, 5 პროც. —საწარმოთა დირექტორები, 5 პროც. — ინჟინერი, აგრონომები, მეცნიერები და ხელოვნების მუშაკები.

საბჭოების საგანგებო მე-8 ყრილობის დეპუტატთა შემადგენლობა ცხადჰყოფს, რომ:

სსრ კავშირის საბჭოების 1924 წ. მეორე ყრილობასთან შედარებით, მე-8 ყრილობის შემადგენლობაში საგრძნობლად შემცირდა — 31 პროცენტიდან 18 პროცენტამდე — წარმოშობით მოსამსახურეთა წილი;

იმ მუშათა წილი, რომელნიც უშუალოდ წარმოებაში მუშაობენ, გაიზარდა სამჯერ (6-დან 19 პროცენტამდე);

იმ გლეხთა წილი, რომელნიც უშუალოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მუშაობენ, გაიზარდა ორჯერ (7-დან 14 პროცენტამდე).

გაიზარდა ინჟინერ-ტექნიკოს და მეცნიერ მუშაკთა ჯგუფი.

იმატა ყრილობაზე უპარტიოთა პროცენტმა.

	საბჭოების მე-2 ყრილ.-ზე	საბჭოების მე-8 ყრილ.-ზე
კომუნისტი	90 პროც.	72 პროც.
უპარტიო	10 პროც.	28 პროც.

მაშასადამე, საბჭოების მე-2 ყრილობიდან მე-8-მდე გაფართოვდა მუშათა კლასის დიქტატურის ბაზა.

მაშასადამე, იზრდება სოციალისტური საზოგადოების უპარტიო მშენებელთა რიცხვი, იმ ადამიანთა რიცხვი, რომელთაც ამხანაგმა სტალინმა სამართლიანად უწოდა არაპარტიული ბოლშევიკები **(ხანგრძლივი ტაში).**

II

ყრილობის მუშა-დეპუტატები

ამ ყრილობაზე წარმოდგენილია 317 მუშა და მუშა-ქალი, რომელნიც უშუალოდ მუშაობენ წარმოებაში — მრეწველობასა და ტრანსპორტზე, გარდა ამისა, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების 99 მუშა. სსრ კავშირის საბჭოების მე-2 ყრილობის დეპუტატთა შორის წარმოების მუშა იყო მხოლოდ 84 კაცი.

მძიმე მრეწველობის საწარმოთა მუშები — ყრილობის დეპუტატები, ნახევარზე მეტი მუშაობს იმ საწარმოებში, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებამ ააგო სსრ კავშირის საბჭოების მე-2 ყრილობის შემდეგ.

ამ მუშების უდიდესი ნაწილი —97 პროც.—სტახანოველები არიან. მათ შორის ასრულებენ:

გამომუშავების 1,1-დან 1,5-მდე ნორმას—33 პროც.
გამომუშავების 1,5-დან 2-მდე ნორმას—30 პროც.
გამომუშავების ორიდან სამამდე ნორმას—23 პროც.
გამომუშავების სამიდან ოთხამდე ნორმას—7 პროც.
გამომუშავების ოთხ ნორმაზე მეტს—7 პროც.

ამ დეპუტატ-სტახანოველთა ყრილობის წევრთა 60 პროცენტი ამავე დროს საბჭოების წევრნი არიან. წარმოებაში თავის მუშაობასთან ერთად ისინი ყოველდღიურად მონაწილეობას იღებენ სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში.

ყველა დეპუტატის — წარმოების მუშათა 14 პროცენტს მიღებული აქვს საშუალო განათლება.

ეს სრულიად ახალი ფაქტია, რომელიც არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო სსრ კავშირის საბჭოების მე-2 ყრილობის დროს. **(ტაში).**

ჩვენი ყრილობის დეპუტატებს შორის არიან ჩვენი სამშობლოს საუკეთესო შვილები — მოწინავენი მძიმე მრეწველობის არმიისა, რომელსაც ხელმძღვანელობს და რაზმავს მისი მებრძოლი სახალხო კომისარი ამხ. ორჯონიკიძე **(მქუხარე ტაში).**

სტახანოვური მოძრაობის სახელოვანი დამწყები — **ამხანაგი სტახანოვი (ტაში).**

სტახანოვის ამხანაგი, რომელმაც გვიჩვენა უპარტიოებთან კომუნისტის მართებული თანამშრომლობის ნიმუში— ამხანაგი **დიუკანოვი;**

მარიუპოლის ქარხნის მეფოლადე, მეფოლადეთა სრულიად - საკავშირო შეჯიბრებაში გამარჯვებული — **ამხანაგი მაზაი;**

ძერჟინსკის სახელობის ქარხნის მეფოლადე, რომელიც წარმატებით ეჯიბრება ამხანაგ მაზაის— ამხანაგი **სილჩენკო.**

ბლუმინგის უფროსი მგორავი, რომელიც გლინავს კუზნეცკის ქარხნის ჩარხის საპროექტო სიმძლავრეზე ერთნახევარჯერ მეტ ლითონს — **ამხანაგი რუბკოვი;**

„როსტსელმაშის" ჩამომსხმელი საამქროს ოსტატი, რომელიც ერთიორად და მეტადაც ასრულებს ყალიბების დაწესებულ ნორმებს — **ამხანაგი დიანოვი;**

გორკის მოლოტოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის მჭედელი, რომელიც გაუთანასწორდა საუკეთესო ამერიკელ მჭედლებს, სახელოვანი ინიციატორი მუშაობის სტახანოვური მეთოდებისა ლითონის მრეწველობაში — **ამხანაგი ბუსიგინი; (ტაში).**

ლენინგრადის კიროვის სახელობის ქარხნის მჭედელი, რომელიც ერთისამად ასრულებს ნორმას — **ამხანაგი ბობინი;**

ქარხანა „დინამოს" მუშა-მრანდავე, რომელიც ექვსჯერ აჭარბებს ნორმას — **ამხანაგი კონოვალოვი;**

ნიჟნი-სალდინსკის მეტალურგიული ქარხნის მგორაველი, რომელიც ერთიორად ასრულებს ნორმას — **ამხანაგი ანტალინი;**

მთავარი ოსტატი, რომელიც ორჯერ გადაჭარბებით ასრულებს ნორმას მაგნიტოგორსკის ქარხნის „300"-იან ჩარხზე —**ამხანაგი ზუევი;**

ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხნის მჭედავი, რომელიც ერთიორად ასრულებს დგუშის რგოლების ხეხვის ნორმას — **ამხანაგი ორეშკინი;**

პროკოპიევსკის მაღაროების მუშა-მნგრეველი, რომელიც იძლევა დაწესებულ ნორმაზე ორნახევარჯერ მეტ ქვანახშირს — **ამხანაგი ზაინუდინოვი;**

ჭიათურის მარგანეცის მაღაროს მუშა-მნგრეველი, რომელიც ერთიხუთად ასრულებს ნორმას — **ამხანაგი ხამხარაძე;**

ოქროს მადნების მუშა-მნგრეველი, რომელიც ცხრაჯერ გადაჭარბებით ასრულებს ნორმას — **ამხანაგი ჩერნოვი;**

„გროზნეფტის" ბურღვის ოსტატი, რომელმაც ერთერთი რეკორდი დაამყარა ღრმად ბურღვაში — **ამხანაგი რიაბოვი;**

ჩვენი ყრილობის დეპუტატებს შორის არიან ამ უკანასკნელ ორ წელს გამოზრდილი მოწინავენი რკინიგზის ტრანსპორტის არმიისა, რომელსაც მეთაურობს და გამარჯვებებისაკენ მიუძღვება რკინიგზის ტრანსპორტის სახელოვანი სახალხო კომისარი ამხანაგი კაგანოვიჩი **(მქუხარე ტაში).**

ამხანაგი კრივონოსი — დონეცის რკინიგზის მემანქანე. მან პირველმა გადალახა ტექნიკური სისწრაფის დაწესებული ნორმები და ამით ბიძგი მისცა სტახანოვური მოძრაობის განვითარებას რკინიგზის ტრანსპორტზე **(ტაში).**

ამხანაგი ოგნევი — ძერჟინსკის სახ. რკინიგზის მემანქანე. მან თავდაყირა დააყენა ორთქლმავლის გაურეცხავად გარბენის ნორმები, აიყვანა რა ეს გარბენა 20 ათას კილომეტრამდე;

ამხანაგი ბოგდანოვი — ოქტომბრის რკინიგზის ერთერთი ახალგაზრდა, უაღრესად კულტურული მემანქანე. მან მოგვცა ორთქლმავლის მოვლის ნიმუშები და საგრძნობი გადაჭარბებით ასრულებს ტექნიკური სისწრაფის ნორმებს;

ამხანაგი მაკაროვი — ამურის რკინიგზის მემანქანე. მან დაწესებულ ვადაში მოიყვანა მატარებელი შორეულ-აღმოსავლეთის მხრიდან მოსკოვამდე ორთქლმავლის გაურეცხავად და ურემონტოდ;

ამხანაგი ხკოპი — უსურიის რკინიგზის მემანქანე. იგი ერთისამად ასრულებს თვლების მოუხარატებლად ორთქლმავლის გარბენის ნორმებს.

ჩვენი ყრილობის დეპუტატებს შორის არიან:

ამხანაგი სმეტანინი — ბრწყინვალე მეფეხსაცმელე—სტახანოვური მოძრაობის დამწყები ტყავის მრეწველობაში. საამქროს უფროსად დანიშვნის შემდეგ მან ერთიორად გაადიდა რანტიანი ფეხსაცმლის საამქროს გამომუშავება „სკოროხოდის" ფაბრიკაში;

ამხანაგი ეგოროვა — ფეიქარი, კომბინატ „ბოლშევიკში" მან წარმატებით შესცვალა სასწავლად წასული ყველასთვის ცნობილი სტახანოველი ოდინცოვა. ეგოროვა დაეუფლა 216 დაზგაზე მუშაობას.

ეს სია შეიძლებოდა კიდევ უფრო გაგვეგრძო.

ბურჟუაზია ცილს სწამებს სოციალისტურ საზოგადოებას. იგი გვიხატავს სოციალიზმს, როგორც წყობილებას, რომელიც თითქოს ახშობს ტალანტებს და შუათანობის ერთ დონეზე აყენებს ყველა ადამიანს.

ჩვენი ყრილობის დეპუტატთა შემადგენლობა ცხადჰყოფს მთელ მსოფლიოს წინაშე, რომ საბჭოთა წყობილება — ეს არის წყობილება, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში პირველად გამოავლინებს ხალხის ნამდვილ ტალანტებს, ეს არის წყობილება, რომელიც მუშებისა, გლეხებისა და ინტელიგენციისაგან ჰქმნის და ამრავლებს სტახანოვებს, მოლოკოვებს.

და, ბოლოს, ჩვენი ყრილობის მუშა დეპუტატთა შემადგენლობა სავსებით ადასტურებს იმას, რასაც ამბობდა ამხანაგი სტალინი:

„...სსრ კავშირის მუშათა კლასი— ეს არის სრულიად ახალი, ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებული, მუშათა კლასი, რომლის მსგავსი კაცობრიობის ისტორიას ჯერ არ სცოდნია" **(ხანგრძლივი ტაში).**

III

ყრილობის გლეხი დეპუტატები

საბჭოების საგანგებო მე-8 ყრილობის იმ დეპუტატ გლეხთა რიცხვი, რომლებიც წარმოებაში მუშაობენ, შეადგენს 261-ს, ნაცვლად 110-ისა სსრ კავშირის საბჭოების მე-2 ყრილობაზე.

ამ ციფრების მნიშვნელობას ცხადჰყოფს შემდეგი ფაქტები:

სსრ კავშირის საბჭოების მე-2 ყრილობაზე ყველა გლეხი დეპუტატი ერთპიროვნული მეურნე იყო — საბჭოების საგანგებო მე-8 ყრილობაზე ყველა გლეხი დეპუტატი კოლმეურნეა **(მქუხარე ტაში).**

სსრ კავშირის საბჭოების მე-2 ყრილობაზე ყველა გლეხი კითხვაზე, თუ რა საქმეს მისდევს იგი, უპასუხებდა — „ხვნა-თესვასო". ეს დიდი უმრავლესობისათვის მოასწავებდა აუტანელ შრომას ერთპიროვნულ მეურნეობაში, კავსა და ცელს, როგორც ძირითად საწარმოო იარაღებს, ნათესის 3-4 ჰექტარს, როგორც დიდ მიღწევას, ცხენის გუთანს და ცხენს, როგორც ოცნებასა და მაღალ ტექნიკას.

საბჭოების საგანგებო მე-8 ყრილობაზე დეპუტატმა გლეხებმა —საზოგადოებრივი შრომის მონაწილეებმა კითხვაზე, თუ რა მუშაობას ეწევიან ისინი, ასე უპასუხეს:

13 პროც.—ტრაქტორისტი,
8 პროც.—კომბაინერი,
26 პროც.—კოლმეურნეობის თავმჯდომარე,
10 პროც.— ბრიგადირი,
20 პროც.—რგოლის ხელმძღვანელი,
6 პროც.—მეცხოველეობის ფერმების გამგე,
12 პროც.—მწველავი, მეხბორე, მეღორე,
2 პროც.—მწყემსი,
3 პროც.—ჩაის, ბამბისა და სხვა ტექნიკური კულტურების ამღები.

არც ერთი ეს „საქმიანობა" არ ყოფილა წარმოდგენილი სსრ კავშირის საბჭოების მე-2 ყრილობაზე, ვინაიდან კოლმეურნეობები მაშინ წვეთი იყო ზღვაში და ტრაქტორებს თითებზე ჩამოითვლიდით.

საბჭოების საგანგებო მე-8 ყრილობის დეპუტატ გლეხთა უმეტესობა თავის წარმოებაში მუშაობასთან ერთად მონაწილეობას ღებულობს სახელმწიფოს მართველობაში, როგორც საბჭოების წევრი. დეპუტატ გლეხთა რიცხვიდან სხვადასხვა საბჭოს წევრია 63 პროცენტი.

ყრილობის დეპუტატებს შორის, კოლმეურნეობებში სოციალისტური შეჯიბრების სახელოვან წამომწყებებთან ერთად, როგორიცაა დემჩენკო, ანგელინა, პოლაგუტინი, არიან:

ამხანაგი კოვარდაკი — ყუბანელი ყაზახი-ქალი, „ჩტზ"-ზე მომუშავე ტრაქტორისტი.

მუშაობდა მესამე სისწრაფით. პირველ ხანებში საშინლად ძნელი იყო მესამე სისწრაფეზე გადასვლა— საშინელებას ჰგვრიდა არა სისწრაფე, როგორც თვითონ მიამბობდა,— არამედ „თეორია": „თეორია" ხომ ამტკიცებს, მესამე სისწრაფე თითქოს გამოსადეგი იყოს მხოლოდ უქმი სვლისათვის. ანგელინას სიტყვის ზეგავლენით მან დასძლია შიში „თეორიის" წინაშე **(სიცილი დარბაზში).**

მან მოსავლიანობის მოწინავეთა თათბირზე სიტყვა მისცა ამხანაგ სტალინს, მოეხნა შემცვლელთან ერთად „ჩტზ"-თი 4.900 ჰექტარი, ხოლო მოხნა—5.125 ჰექტარი **(ტაში),** მიიღო 840 ფუთი პური და 7.750 მან. ფულად **(ტაში).**

ამხანაგი ბორინი — აზოვ-შავი ზღვის კომბაინერი. 1935 წ.—კომბაინერად მუშაობის პირველ წელს — მან აიღო მოსავალი 780 ჰექტარზე. წელს მან კომბაინ „სტალინელით" მოსავალი აიღო 2.040 ჰექტარზე, ე. ი. ნორმაზე ათჯერ მეტი **(ტაში).** ბორინის საშუალო გამომუშავება შეადგენდა 48 ჰექტარს დღეში. მან სეზონის განმავლობაში აიღო იმდენი ჰექტარის მოსავალი, რამდენსაც ერთპიროვნულ მეურნეობაში იღებ-

(დასასრული იხ. მე-2 გვ.)

საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო VIII ყრილობა

ამხ. ი. ა. იაკოვლევის მოხსენების გაგრძელება

და 300-400 გლეხური კომლი დილიდან დაღამებამდე მუშაობდა;

ამხანაგი ალი-ალა-უსუფი. 1929 წლიდან კოლმეურნეობა „ბოლშევიკის“ უცვლელი თავმჯდომარე. 1930 წ. მან აიღო 12 ცენტნერი ბამბა თითო ჰექტარზე, 1931 წ.—16, 1932 წ.—17, 1933 წ.—26, 1934 წ.—32, 1935 წ.—40, 1936 წ.—55. (ტაში).

თვითონ ალი-ალა-უსუფს კოლმეურნეობაში შესვლამდე ნახევარი ჰექტარი მიწა ჰქონდა. იძულებული იყო მოჯამაგირედ დასდგომოდა ბეგს. თავისი პატარა ნაკვეთი მიწისათვის ყველაზე უკანასკნელი ღებულობდა წყალს, ამ მცირე ნაკვეთზე მოჰყავდა 10 ფუთი ბამბა. იგი მაშინ ათამდე ითვლიდა, — ახლა, 1936 წელს, მისმა კოლმეურნეობამ აიღო 24 ათასი ფუთი ბამბა;

ამხანაგი კოროტკოვი — კოლმეურნეობათა ერთერთი ყველაზე გამოჩენილი თავმჯდომარე ჩუვაშიაში. მის ტერიტორიაზე წელს მთელი ზაფხულის განმავლობაში ერთხელაც არ მოსულა წვიმა. მიუხედავად ამისა, მან მიიღო ჭვავის, შვრიის და ხორბლის ასფუთიანი მოსავალი და შრომადღეზე გასცა ექვს-ექვსკილო პური.

მან მინდორზე შეიტანა 12 ათასი ურემი ნოყიერი ტორფი და 4 ათასი ურემი ნაკელი, 1.200 ცენტნერი ნაცარი, 2 ათასი ცენტნერი მინერალური სასუქი. თესლს იგი ხელით შეარჩევდა ხოლმე თავთავების მიხედვით, ნაწილობრივ მარცვალ მარცვალადაც.

კოლმეურნეობაში ბაგეს სკოლა ათწლედი, სადაც ახლა 340 ბავშვი სწავლობს, 1924 წელს კი მის სოფელში, ორკლასიან სკოლაში 22 ბავშვი სწავლობდა.

ამხანაგი ბოლიაკოვა — ზარიშაი, როცა მთელ ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ ათიოდე კოლმეურნეობამ მოგვცა 5 ცენტნერზე მეტი სელის მოსავალი თითო ჰექტარზე, მან განიზრახა მოეცა არა 5, არამედ 10 ცენტნერი — ტონა სელის ბოჭკო ჰექტარზე. ამას გამოეხმაურნენ რგოლების ასობით ხელმძღვანელები. იგი გაკვირვებული დარჩა, როცა კალინინის ოლქის ასობით კოლმეურნე-ქალებმა უცებ მისი გვარი მიიღეს, ბოლიაკოვებად იწოდებოდნენ. და ასეთ ბოლიაკოვათა 2800 რგოლმა წელს ჰექტარზე ერთი ტონაზე მეტი ბოჭკო ჩააბარა (ტაში).

თვითონ ასე ხსნიდა თავისი მუშაობის შედეგებს: წინათ, რამდენიც უნდა გემუშავნა, — კიდევ უფრო მეტს მოგთხოვდნენ, და მუშაობისათვის არავინ არ დაგაწინაურებდა. ახლა კი, როცა მუშაობ, ხედავენ, რომ მუშაობ, და შრომისათვის სახელმწიფო გაწინაურებს. (ტაში).

ამხანაგი ქრისტინე ბაიდინი — ვინიცის ოლქის კოლმეურნეობა „ბოლშევიკის“ რგოლის ხელმძღვანელი. მან, წლევანდელი გვალვის მიუხედავად, თავისი რგოლის თითო ჰექტარზე ათას ცენტნერზე მეტი ჭარხალი აიღო (ტაში). მას რგოლების ხელმძღვანელთა რაიონულ კრებებზე, როგორც თვითონ გვამბობს, ისე ხვდებოდნენ, როგორც ბელადს, ვინაიდან მან კოლმეურნეებს უჩვენა, რომ შესაძლებელია ათასი ცენტნერი მოსავლის მიღება იქ, სადაც ჯერ კიდევ სამი წლის წინათ 100 და 150 ცენტ. უდიდეს მიღწევად ითვლებოდა. სანამ კოლმეურნეობაში შევიდოდა, დიდ გაჭირვებას განიცდიდა. ახლა კი მდიდრულად და კულტურულად ცხოვრობს. მას ჰყავს სამი ვაჟი. უფროსი 20 წლისაა, ელექტროტექნიკურ ტექნიკუმში სწავლობს, მეორე — 17 წლის — მეჭარხლეობის ტექნიკუმში სწავლობს, მესამე — 13 წლისა — ათწლედის მეხუთე კლასშია. ეს ათწლედი აგებულია მის სოფელ კრიზინკაში რევოლუციის წინადროინდელი სამკლასიანი სკოლის ნაცვლად.

მეტ მაგალითს აღარ მოვიყვან, თუმცა შეიძლებოდა მრავალი მაგალითის მოყვანა.

სავსებით ცხადია, რომ ჩვენი ყრილობის დეპუტატ გლეხთა შემადგენლობაც მთლიანად ადასტურებს ამხანაგ სტალინის სიტყვებს:

„...საბჭოთა გლეხობა — ეს სრულიად ახალი გლეხობაა, რომლის მსგავსი კაცობრიობის ისტორიას ჯერ კიდევ არ სცოდნია“ (ხანგრძლივი ტაში).

IV

ყრილობის ნაციონალური შემადგენლობა

მთელი რიგი რესპუბლიკებისა, რომლებიც საბჭოების საგანგებო მე-8 ყრილობაზე არიან წარმოდგენილი, საბჭოების მე-2 ყრილობაზე არ ყოფილან წარმოდგენილი. ასეთ რესპუბლიკებს ეკუთვნის: უზბეკთა, ტაჯიკთა, თურქმენთა და ყირგიზთა მოკავშირე რესპუბლიკები, რსფსრ ავტონომიური რესპუბლიკები — მორდვის, ჩუვაშიის, უდმურტის და კალმუხთა და უკრაინის სსრ მოლდავეთის ავტონომიური რესპუბლიკა, რომლებიც საბჭოების მე-2 ყრილობის შემდეგ შეიქმნა. ყრილობის შემადგენლობა გვიჩვენებს, თუ როგორ ვითარდებოდა ორ ყრილობას შორის განვლილ დროში სსრ კავშირის სახელმწიფოებრივი მშენებლობა ნაციონალური ხაზით.

საბჭოების ახლანდელ ყრილობაზე წარმოდგენილია 63 ერი, ნაციონალური ჯგუფი და ეროვნება. საბჭოების მე-2 ყრილობაზე კი წარმოდგენილი იყო — 49. ჩვენი ყრილობის ნაციონალური შემადგენლობა გვიჩვენებს, თუ როგორ ხდება სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობის შედეგად მთელი რიგი ერების, ნაციონალური ჯგუფებისა და ეროვნებების აღორძინება და განვითარება.

თვითეული დეპუტატი, რომელიც ნაციონალურ რესპუბლიკას წარმოადგენს, გვიჩვენებს, თუ როგორ ჰქრება სსრ კავშირის სახელმწიფო ძალაუფლების დახმარებით სსრ კავშირის ხალხთა სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული ჩამორჩენილობა, იფურჩქნება სსრ კავშირის ხალხთა ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურა. მოვიყვან რამდენიმე მაგალითს:

ამხანაგი იბრაჰიმ რახმატოვი — 1929 წლიდან უზბეკისტანის ნამანგანის რაიონის კოლმეურნეობა „იშტიმაიატის“ ბრიგადირია. მისი ბრიგადის გზაა: 1930-დან 1932 წლამდე იგი იღებდა 10 ცენტნერამდე ბამბის მოსავალს, 1933 წ.—13 ცენტნერს, 1934 წ. — 16 ცენტნერს, 1935 წ. — 35 ცენტნერს, ბოლოს, 1936 წ. — 105 ცენტნერს, ე. ი. მეცნიერებასა და ცხოვრებაშიც გაუგონარ ციფრს (ტაში). კოლმეურნეობაში შესვლამდე ჩვეულებრივი ღარიბი გლეხი იყო, რომელიც უფრო ხშირად მოჯამაგირედ იდგა, ვიდრე თავის მეურნეობაში მუშაობდა. ახლა ამ ადამიანის მინდვრებისაკენ ასობით კოლმეურნეები და ათობით აგრონომები გაეშურნენ სასწავლებლად.

ზამთარში რაიონულ შეკრებაზე რახმატოვმა ვალდებულება იკისრა —მოეცა 100 ცენტნერი ჰექტარზე, რათა დაემსახურებინა პატივი მოსკოვს გამოგზავნისა და ხელი ჩამოერთმია ამხანაგ სტალინისათვის. თავისი დაპირება მან შეასრულა;

ამხანაგი გამერ რაჰიმოვა — ყრილობის დეპუტატი, აზერბეიჯანელი ქალი, ღრმა ტუმბოიანი ექსპლოატაციის ინჟინერი. ბაქოელი შავი მუშის ცოლი. 1920 წლამდე ჩადრით დაიარებოდა. უკვე მოზრდილმა, ოთხი შვილის დედამ, დაიწყო სწავლა და დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი თითქმის ერთდროულად თავის ქალიშვილთან, რომელმაც სამედიცინო ფაკულტეტი დაასრულა. ახლა ეს ახალგაზრდა ინჟინერი, ნორმით გათვალისწინებულ 250 ტონის ნაცვლად, დღე-ღამეში იღებს 302 ტონა ნავთს (ხანგრძლივი ტაში);

ამხანაგი შარიფოვა — ბაშკირული ენისა და ბაშკირული ლიტერატურის მასწავლებელი ქალი ბაიმაკის რაიონის სოფელში. ამ სოფელში რევოლუციამდე სკოლა არ ყოფილა. ახლა იმ სოფლის სკოლაში, სადაც შარიფოვა მასწავლებლობს, 12 ბაშკირი მასწავლებელია, ხოლო სასოფლო საბჭოში, რომელიც 8 კოლმეურნეობას მოიცავს, არის 8 სკოლა 52 მასწავლებლით. ამათგან 50-ს საბჭოთა სკოლა აქვს დამთავრებული.

შარიფოვა ბავშვებს ასწავლის არა მარტო ბაშკირულ ლიტერატურას, არამედ აცნობს მათ აგრეთვე პუშკინს, გოგოლს, გორკის, ბაშკირულ ენაზე (ტაში).

მეტ მაგალითს აღარ მოვიყვან, ვინაიდან ყველას ახსოვს ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის ხელმძღვანელების მიერ საქართველოს, სომხეთის, აზერბეიჯანის დელეგაციების, უზბეკისტანის, ტაჯიკისტანის, თურქმენი მებამბეების, ბურიატ-მონღოლეთის დელეგაციის, უკრაინის მეჭარხლეების მიღება. ამ დელეგაციების მონაწილეთა რიცხვიდან ბევრია საბჭოების საგანგებო მე-8 ყრილობის დეპუტატი. ამ დელეგაციებმა გვიჩვენეს, თუ ხალხის ძალების, ტალანტების, კულტურის რა სწრაფი აყვავება მოუტანა სსრ კავშირის ხალხებს საბჭოთა ხელისუფლებამ.

სავსებით ცხადია, რომ საბჭოების საგანგებო მე-8 ყრილობის ნაციონალური შემადგენლობაც საუცხოოდ ადასტურებს ამხანაგ სტალინის განცხადებას:

„... ახლა ჩვენ გვაქვს სავსებით ჩამოყალიბებული მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფო, რომელმაც ყოველგვარ განსაცდელს გაუძლო...“ (ხანგრძლივი ტაში).

V

ტექნიკისა და მეცნიერების მუშაკები — ყრილობის დეპუტატები

საბჭოების საგანგებო მე-8 ყრილობის დეპუტატთა შემადგენლობაში 289 კაცი უმაღლესი განათლებითაა. საბჭოების 2 ყრილობაზე სულ 90 დეპუტატი იყო უმაღლესი განათლებით. მე-8 ყრილობის უმაღლესი განათლების მქონე დეპუტატთა 74 პროცენტმა უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა საბჭოთა დროს.

დავასახელებ ზოგიერთ ამხანაგს ამ ციფრებს ამოფარებულ დეპუტატთა რიცხვიდან, რათა უფრო ცხადი გახდეს, ვისზედაა ლაპარაკი:

ამხანაგი ბრუსკინი. დაამთავრა უმაღლესი სკოლა საბჭოთა დროს. ბრწყინვალე ტექნიკოსია. როგორც ქარხნის დირექტორმა მოაგვარა თვლებიანი ტრაქტორების წარმოება ხარკოვის სატრაქტორო ქარხანაში და მუხლუხოვანი ტრაქტორებისა ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხანაში. ამჟამად — მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილე.

ამხანაგი ბუტენკო — გლეხის შვილი, რომელმაც თავისი ცხოვრების გზა დაიწყო, როგორც მუშამ. დაამთავრა საბჭოთა უმაღლესი სასწავლებელი. ამჟამად არის კარგი დირექტორი კუზნეცის მეტალურგიული კომბინატისა, რომელიც მარტო ამზადებს თუჯისა და ფოლადის მთელი ომამდელი პროდუქციის მეოთხედზე მეტს და მთელი ომამდელი ტკეცილის მეხუთედზე მეტს;

ამხანაგი ზავენიაგინი — მუშის შვილი, პარტმუშაკიდან ინჟინრად გადაიქცა. როგორც დირექტორი, ხელმძღვანელობს უეჭველად ევროპაში ყველაზე დიდ მეტალურგიულ საწარმოს — მაგნიტოგორსკის ქარხანას;

ამხანაგი ფოკინი—ნიჭიერი ახალგაზრდა ინჟინერი, დაამთავრა უმაღლესი სკოლა 1926 წელს; სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის დირექტორი, კარგად უძღვება უდიდეს ქარხანას;

ამხანაგი იუხიმი — საბჭოთა სკოლის ინჟინერი, მხოლოდ 5 წლის წინათ დაამთავრა ენერგეტიკული ინსტიტუტი. გახდა ლ. კაგანოვიჩის სახ. 1-ლი სახელმწიფო საორთქლმავლო ქარხნის სამჭედლო საამქროს ერთერთი განყოფილების უფროსი. მან შესძლო იმავე მოწყობილობით ერთი წლის განმავლობაში ორნახევარჯერ გაედიდებინა თავისი განყოფილების ნაყოფიერება.

ამხანაგი ბონდარენკო — მუშის ოჯახიდანაა გამოსული. დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი საბჭოთა დროს. გაიარა მთელი გზა რიგითი ინჟინრიდან ხარკოვის საორთქლმავლო ქარხნის დირექტორამდე. მისი ხელმძღვანელობით ქარხანა ზედიზედ ეუფლება ახალი მანქანების, მძლავრი ორთქლმავლების „სო“ სატრანსპორტო დიზელების წარმოებას.

ამხანაგი ლიუფერი — ქარხნის დირექტორი. გაიზარდა სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანასთან ერთად, სადაც მუშაობდა ინჟინერ-მექანიკოსად, შემდეგ ტექნიკურ დირექტორად, ახლა კი თვითონ მუშაობს ქარხნის დირექტორად;

ამხანაგი კომაროვი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი;

ამხანაგი ლისენკო—გლეხის შვილი, ამჟამად აკადემიკოსი. ნამდვილი მეცნიერი, რომლისაგანაც იქმნება ისეთი კაცი, რომელსაც შეუძლია მეცნიერთა გარდაქმნა ჩვენი მეურნეობის სასარგებლოდ;

ამხანაგი მესტერი — ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი სელექციონერი;

ამხანაგი ბურდენკო — პროფესორი, ქირურგიის ერთერთი უდიდესი ოსტატი;

ამხანაგი მოსკვინი — საბჭოთა კავშირის ერთერთი უსაყვარლესი სახალხო არტისტი.

მუშები და გლეხები, ან მათი შვილები რომ ეუფლებიან კულტურის მწვერვალებს სსრკ-ში, ამას მოწმობს თუნდაც შემდეგი ფაქტები: უმაღლესი განათლების დეპუტატთა 57 პროცენტი ყოფილი მუშა და გლეხია, ან მუშისა და გლეხის შვილი (ტაში).

საწარმოთა 94 დირექტორთაგან, რომელნიც არიან ყრილობის დეპუტატები, 50 პროცენტს უმაღლესი განათლება აქვს.

ეს მოკლე ნარკვევიც შეიძლება იმის ილუსტრაცია იყოს, რასაც ლაპარაკობდა ამხანაგი სტალინი ჩვენი ინტელიგენციის შესახებ:

„...ეს სავსებით ახალი, მშრომელი ინტელიგენციაა, რომლის მსგავს დედამიწის ვერც ერთ ქვეყანაში ვერ იპოვით“ (ხანგრძლივი ტაში).

VI

ქალები—ყრილობის დელეგატები

ქალი-დეპუტატი ამ ყრილობაზე არის 419, ნაცვლად 58-ისა სსრ კავშირის საბჭოების მე-2 ყრილობაზე, ე. ი. 7-ჯერ მეტი (ტაში).

ამ ციფრებშია ის მანძილი, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ განვლო ამხანაგი სტალინის ხელმძღვანელობით 13 წელიწადში. წინათ ქალი შებოჭილი იყო საშინაო მეურნეობის უღლით და წვრილი სოფლის მეურნეობის კატორღით. ამჟამად საკოლმეურნეო წყობილებამ სოფლად, [illegible] ინდუსტრიამ ქალაქად გაუხსნა ქალს გზა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბნისაკენ (ტაში).

დეპუტატ-ქალთა საერთო შემადგენლობაში გვყავს: კოლმეურნე —45 პროც., მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშა—30 პროც., პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკი —25 პროც.

ყრილობის დეპუტატ-ქალები, რომლებიც მრეწველობაში მუშაობენ, წარმოადგენენ თითქმის ყველა პროფესიას. წარმოებაში მომუშავე დეპუტატ-ქალებს შორის ჩვენ ვითვლით 63 სხვადასხვა პროფესიას. მათ შორის: ქალი—ზეინკლები, მეყალიბეები, მერევოლვერეები, მეწნეხეები, მეფრეზერეები, მოტორისტები, ხარატები, მბურღავები, ჩამომსხმელები, [illegible], [illegible], მეჯალაბრეები მაღაროებში, ფეიქრები, მევატრეები, მღებავები, გამომწრთნელები, მცრავები, დამჩითავები, მეკალოშეები, მეისრეები, ორთქლმავლის მემანქანეები, ელექტრომემანქანეები, დისპეტჩერები, თევზის დამწყობები და ა. შ.

დეპუტატ-ქალთა შემადგენლობა ცხადჰყოფს იმ განსაკუთრებულ როლს, რომელსაც ქალი კოლმეურნეობებში თამაშობს. ამ ფაქტის გამოხატულებას ჩვენ ვპოულობთ საბჭოების საგანგებო მე-8 ყრილობის დეპუტატების — გლეხი ქალების შემადგენლობაში. აქ წარმოდგენილია თითქმის ყველა სახის პროფესია, რომელიც ჩვენს საკოლმეურნეო სოფელში არსებობს. ყრილობის 177 კოლმეურნე დეპუტატ-ქალიდან:

კომბაინერია—11 (ტაში).
ტრაქტორისტი—9.
ტრაქტორთა ბრიგადირი—6,
კოლმეურნეობის თავმჯდომარე—9 (ტაში).
ფერმათა გამგე—8,
ბრიგადირი—10.
სელის მჩეჩავი—2,
რგოლის მეთაური—67.
მწველავი, მეხბორე, მეღორე—38.
ბამბის, თამბაქოს და სხვა ტექნიკური კულტურების დარგში მომუშავე—17.

არ არსებობს აგრეთვე ეგრეთწოდებული გონებრივი შრომის არც ერთი დარგი, რომლის შესრულებაც არ შეეძლოს ქალს. 100 დეპუტატ ქალს შორის პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო დაწესებულებათა მუშაკი:

სასოფლო-საბჭოს თავმჯდომარე—27.
რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე—20.
საწარმოთა დირექტორი და საამქროთა უფროსი—5.
მასწავლებელი—18.
ინჟინერი—1.
მფრინავი—3.
არტისტი — 2.
რესპუბლიკური, საოლქო, სამხარეო საბჭოთა ორგანოების მუშაკი—7.
პარტიული და პროფესიული მუშაკი—12.

ეს ციფრები საუცხოოდ ცხადჰყოფს ქალთა განთავისუფლებული შრომის იმ წარმატებებსა და ნიჭს, რომლებზედაც ლაპარაკობდა ამხანაგი სტალინი ჭარხლის მუშა-ქალთა მიღების დროს.

მოხსენებას ვაკეთებდი რა ყრილობის დეპუტატების — მუშების, კოლმეურნეებისა და სხვადასხვა ხალხთა წარმომადგენლების შესახებ, მე მამაკაცთა მაგალითებთან ერთად მოვიყვანე დეპუტატ-ქალთა მაგალითები, რომლებიც ერთხელ კიდევ გვიჩვენებენ, თუ ქალაქად თანამედროვე ინდუსტრიის მშენებლობა და საკოლმეურნეო წყობილება როგორ ხდის მშრომელ ქალს მამაკაცის ნამდვილ თანასწორად და ქალთა თავისუფალი შრომა როგორ წარმოშობს შრომის ათასობით ნამდვილ გმირ ქალებს. ამას, კერძოდ, მოწმობს ის ფაქტი, რომ 419 დეპუტატ-ქალთა საერთო რიცხვიდან—117 ქალი დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის უმაღლესი ჯილდოთი—სსრ კავშირის ორდენით (ხანგრძლივი ტაში).

VII

წითელარმიელები—ყრილობის დეპუტატები

თუ ვინ არიან ჩვენი ყრილობის წითელარმიელი მონაწილენი, ამას გვიჩვენებენ თუნდაც შემდეგი ამხანაგები:

კაპიტანი ტუპოვი — ყოფილი მუშა. 1918-დან 1927 წლამდე მსახურობდა არმიის ცხენოსან ნაწილებში. 1927 წელს გახდა მფრინავ-მეთვალყურე, შემდეგ მფრინავი, შემდეგ მსუბუქ თვითმფრინავთა რგოლის მეთაური, შემდეგ მძიმე თვითმფრინავთა რაზმის მეთაური, ხოლო ახლა—მძიმე თვითმფრინავთა ესკადრილიის მეთაური. თავის ოლქში პირველია საბრძოლო მომზადების მხრივ, საფრენოსნო მუშაობის დაწყების მომენტიდანვე არ ჰქონია არც ერთი ავარია (ტაში). როგორც ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ადამიანთა უმრავლესობა, იმავე დროს გადის საერთო განათლების კურსს, ასრულებს რა თავისი სახკომის ბრძანებას (ტაში).

უმცროსი მეთაური რიაბინინი — არმიაში შესვლამდე ზეინკალი. 1933 წელს შევიდა არმიაში. არმიამდე მიღებული ჰქონდა მხოლოდ დაწყებითი განათლება. არმიაში 7 თვის სწავლობდა სპეციალურ კურსებზე. ამჟამად—წყალქვეშა ნავის უმცროსი მეთაური—მოტორისტია. არც ერთი ლაშქრობის დროს მისი მანქანა ერთხელაც არ გაფუჭებულა. მოტორისტთა განყოფილების ხაზით მუშაობასთან ერთად ასრულებს ჯგუფის პარტორგის მოვალეობას, არის ცაკის წევრი (ტაში).

უმცროსი მეთაური მიშუგლი —16 წლის ჰასაკიდან, მის სოფელში კოლმეურნეობის ორგანიზაციის მომენტიდან — კოლმეურნეობის მეწყემსი, ხოლო შემდეგ მეჯინიბე. კოლმეურნეობაში მუშაობისათვის მთავრობამ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კომკავშირელთა ჯგუფთან ერთად იგი ლენინის ორდენით დააჯილდოვა. 1935 წელს არმიაში გაწვევის შემდეგ ერთ წელიწადს სწავლობდა სატანკო სკოლაში, ახლა არის ტანკის მექანიკოს-წამყვანი და ჩააბარა გამოცდა ოთხი კლასის ფარგლებში. მისი ცხოვრების გეგმაა—ისწავლოს და გახდეს სატანკო ოცეულის მეთაური —ლეიტენანტი (ტაში).

ამ ადამიანთა ძალა და მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი მარტო ერთეული მოწინავეები არ არიან, არამედ წითელი არმიის მეომართა და მეთაურთა მთელი შემადგენლობის წარმომადგენლები, რომლებიც წარმატებით ეუფლებიან ტექნიკას.

წითელი არმიის დეპუტატები წარმოშობის მხრივ შემდეგნაირად ნაწილდებიან:

მუშებიდან—30 პროც.
გლეხებიდან—50 პროც.
მოსამსახურეებიდან—20 პროც.

წითელი არმიის წარმომადგენლები საბჭოების ახლანდელ ყრილობაზე შეადგენენ დეპუტატთა იმავე პროცენტს, როგორც საბჭოების მე-2 ყრილობაზე—7 პროცენტს. საბჭოების მე-2 ყრილობის წითელარმიელ დეპუტატთა უდიდეს ნაწილს შეადგენდნენ ქვეითი არმიელები და ცხენოსნები. ჩვენი ყრილობის წითელარმიელთა დეპუტატები წარმოდგენილი არიან შემდეგი სახით:

ავიაცია—13 პროც. (ტაში).
ჯავშნიანი სატანკო ნაწილები — 6 პროც. (ტაში).
არტილერია — 5 პროც.
საზღვაო ფლოტი—5 პროც.
ტექნიკური ჯარები—3 პროც.
კავალერია—10 პროც.
ქვეითი ნაწილები — 23 პროც.
მეთაურები და პოლიტმუშაკები ჯარის საერთო შენაერთებისა, რომლებშიაც შედიან ტექნიკური ნაწილებიც—35 პროც.

ამგვარად, ჩვენი ყრილობის შემადგენლობაში თავისი გამოხატულება ჰპოვა შემდეგმა ფაქტებმა:

ჯერ ერთი—შეუდარებლად გაიზარდა არმიის ტექნიკური ძლიერება, რომელიც ემყარება სსრ კავშირში აშენებულ ახალ მძლავრ მრეწველობას;

მეორე: გამოიზარდნენ და წარმატებით ეუფლებიან ტექნიკას მეთაურთა ახალი კადრები — მუშათა კლასისა და გლეხობის ხორცი-ხორცთაგანი, სისხლი სისხლთაგანი (მქუხარე ტაში).

სხვანაირად და მოკლედ რომ ვთქვათ, თვით ჩვენი ყრილობის შემადგენლობაში თავისი ზუსტი გამოხატულება ჰპოვა იმ ფაქტმა, რომ მუშურ-გლეხური წითელი არმია საბჭოების ყრილობებს შორის განვლილ პერიოდში გადაიქცა ძლიერ ძალად—ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი შრომის სიამაყედ და დასაყრდენად, პატივისცემის საგნად, ჩვენი მტრების სიძულვილისა და მათთვის თავზარდაცემის საგნად. (ტაში). ამ მუშურ-გლეხურ წითელ არმიას ზრდის ამხანაგი სტალინი, მას რაზმავს და ამზადებს ბოლშევიკური პარტიის ერთგული შვილი—საბჭოთა კავშირის სახელოვანი მარშალი ამხანაგი ვოროშილოვი. (ხანგრძლივი ტაში).

○

მე ვამთავრებ. მხოლოდ სოციალისტურ საზოგადოებას შეეძლიან გაგზავნოს ყრილობაზე, როგორც თავისი რწმუნებული ადამიანები, რომლებიც მოწოდებული არიან გადასწყვიტონ კონსტიტუციის საკითხები, ისეთი დეპუტატები, როგორიც საბჭოების ჩვენი ყრილობის დეპუტატები. (ტაში).

სსრ კავშირი მთელი მსოფლიოს წინაშე აღმართულია, როგორც სოციალიზმის მძლავრი შუქურა.

სსრ კავშირის ახალი სტალინური კონსტიტუცია.— „სსრ კავშირის მშრომელთათვის უკვე მოპოვებულ მიღწევათა კოდექსი“, „მოქმედების პროგრამა“ „კაპიტალისტური ქვეყნების ხალხთათვის“ — მომავალისაკენ უნათებს გზას მშრომელთა ასეულ მილიონებს.

ცხრამეტი წლის წინათ, 1918 წლის იანვარს, სრულიად რუსეთის საბჭოების მესამე ყრილობამ მიიღო „მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხის უფლებათა დეკლარაცია“. ეს დეკლარაცია ჩვენი ქვეყნის პირველ კონსტიტუციაში შევიდა, როგორც პროგრამა ბრძოლისა საბჭოების განმტკიცებისა და ექსპლოატატორთა კლასების მოსპობისათვის. ამხანაგ სტალინის მოხსენება ამ ყრილობაზე —ეს არის დეკლარაცია ხალხისა, რომელიც უკვე არ არის ექსპლოატირებული —ხალხისა, რომელმაც სოციალიზმი ააშენა. ამიტომ ამხანაგ სტალინის მოხსენება, როგორც იმ ხალხის დეკლარაცია, რომელმაც სოციალისტური საზოგადოება ააშენა, არის სსრ კავშირის კონსტიტუციის განუყრელი ნაწილი. (ტაში).

ჩვენი ხალხი, მისი საბჭოების ყრილობა რომ იხილავს და მიიღებს ახალ სტალინურ კონსტიტუციას, უკვე აშენებული სოციალისტური საზოგადოების კონსტიტუციის პროექტს, — ამას ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ ჩვენი ქვეყნის მშრომელთა სიმამაცესა და გმირობას, ჩვენი პარტიის სიმტკიცესა და სიწმინდეს, ხალხთან მისი კავშირის სიღრმეს (ტაში).

ამას ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ იმ გარემოებას, რომ ჩვენს პარტიას, ჩვენს ქვეყანას, მსოფლიოს მოწინავე მშრომელებს ხელმძღვანელობს საუკეთესო ლენინელი, ახალი კონსტიტუციის შემოქმედი, საბჭოთა ხალხის დიდი შვილი, რომლითაც ამაყობს ჩვენი ქვეყანა და რომელსაც ყოველი მუშისა და გლეხის ოჯახში მშრომელთა მამას უწოდებენ, — ჩვენი ბელადი, ამხანაგი სტალინი. (ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის, „ვაშას“ ძახილი, ყველანი ფეხზე დგებიან).

ამხ. დ. დ. დორჟიევის სიტყვა

(ბურიატ-მონღოლეთის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე)

ამხანაგებო, ძნელია სიტყვებით გადმოგცეთ ის უდიდესი სიხარული, სიამაყის ის უდიდესი გრძნობა, რომელსაც ჩვენ, საბჭოების ამ ისტორიული ყრილობის დელეგატები განვიცდიდით, როცა ვისმენდით იმის მოხსენებას, ვისაც მტკიცე ხელით მიჰყავს საბჭოების ქვეყანა გამარჯვებიდან გამარჯვებამდე, ვინც არის ლენინის საქმის ერთგული გამგრძელებელი, ვინც უსაზღვროდ უყვარს ყველა ხალხს—ჩვენი ბელადის ამხანაგი სტალინის მოხსენებას. (ტაში).

ბურიატ-მონღოლეთის ხალხმა, ისე როგორც დიდი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხმა, უდიდესი კმაყოფილებით მოიწონა სტალინური კონსტიტუცია. ჩვენ — დელეგატებს დავალებული გვაქვს განვუცხადოთ საბჭოების საგანგებო მე-8 ყრილობას, რომ ბურიატ-მონღოლეთის ხალხი უსაზღვროდ ერთგულია თავის სოციალისტურ სამშობლოსადმი, თავისი დიდი მასწავლებლის, ხალხთა მეგობრის და ბელადის — კონსტიტუციის შემოქმედის, ამხანაგ სტალინისადმი. (ტაში).

დიდი სტალინის უახლოესმა თანამებრძოლმა, საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ამხ. მოლოტოვმა ბურიატ-მონღოლეთის რესპუბლიკის დელეგაციის მიღების დროს განაცხადა, რომ „უდიდესი მანძილი — შეიძლება ითქვას, მთელი უფსკრული —დევს ბურიატ-მონღოლეთის ხალხის სულ ახლო წარსულსა და ახლანდელ პერიოდს შორის, როცა ბურიატ-მონღოლეთში აფრიალდა საბჭოთა დროშა“.

ბურიატ-მონღოლეთის რესპუბლიკამ, რომელიც შეიქმნა 1923 წელს ამხანაგ სტალინის პირდაპირი მითითებით და პირადი დახმარებით, სრულიად გამოიცვალა თავისი სახე. აგებულია მთელი რიგი სამრეწველო საწარმოები, მათ შორის ჩვენი მშვენება და სიამაყე—ორთქლმავალ-ვაგონების ქარხანა, რომელსაც სიმძლავრის მხრივ ბადალი არა ჰყავს ევროპაში. მუშათა რიცხვი რესპუბლიკაში გაიზარდა 8.500 კაციდან 68 ათას კაცამდე, ანუ 8-ჯერ.

რევოლუციამდე ბურიატ-მონღოლეთის მოსახლეობის უმრავლესობა არ სთესავდა პურს, ახლა სთესავს და ღებულობს მაღალ მოსავალს, აგრეთვე საკმაოდ ფართო მასშტაბით ეწევა მებოსტნეობას. სათესი ფართობი ბურიატ-მონღოლეთის რესპუბლიკის ჩამოყალიბების მომენტიდან გაიზარდა 4-ჯერ და უფრო მეტად, ამასთან კოლმეურნეობების სათეს ფართობს უკავია 98 პროცენტი. სამანქანო-სატრაქტორო სადგურები ამუშავებენ კოლმეურნეობათა მთელი სათესი ფართობის 75 პროცენტს.

სწრაფად იზრდება პირუტყვის სულადობა.

თუ 1923 წელს, ე. ი. ბურიატ-მონღოლეთის რესპუბლიკის ორგანიზაციის მომენტში წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი ძლივს აღწევდა 8 პროცენტს ამჟამად წერა-კითხვის მცოდნეთა პროცენტი 70-ს აღწევს.

ეს უდიდესი მიღწევები ბურიატ-მონღოლეთს აქვს რუსეთის დიდი მუშათა კლასის მუდმივი დახმარების, რსფს რესპუბლიკის მთავრობის, საბჭოთა კავშირის მთავრობის, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დახმარების შედეგად. ეს შედეგია ამხანაგ სტალინის ყოველდღიური დახმარების და პირადი მზრუნველობისა ბურიატ-მონღოლეთის საჭიროებებზე. ეს არის ჩვენი პარტიის ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის შედეგი. (ტაში).

იაპონიის იმპერიალისტური წრეები ზოგჯერ აშკარად ლაპარაკობენ ზაბაიკალიეს და ბურიატ-მონღოლეთის რესპუბლიკის ტერიტორიის დაპყრობის გეგმებზე. მაგრამ იაპონიის იმპერიალისტები ივიწყებენ ერთ „პატარა“ გარემოებას. მათ არ ესმით, ან უფრო სწორად, არ სურთ გაიგონ, რომ ძველი, ჩამორჩენილი და დაბეჩავებული ბურიატ-მონღოლეთი უკვე დიდი ხანია აღარ არსებობს. ამჟამად არის ახალი საბჭოთა სოციალისტური ბურიატ-მონღოლეთი — ჩვენი დიადი და ძლევამოსილი საბჭოთა კავშირის განუყოფელი ნაწილი. და თუ იმპერიალისტური მტაცებელნი დააპირებენ თავისი გეგმის განხორციელებას, ბურიატ-მონღოლეთის ხალხი, როგორც ერთი კაცი, გამოვა თავისი სოციალისტური სამშობლოს დასაცავად და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებს სოციალიზმის ყველა მონაპოვართათვის. (ტაში).

გაუმარჯოს სსრ კავშირის ხალხთა ურყევ მეგობრობას! (ტაში).

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ ბელადს და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს! (ტაში).

უკრაინელი მწერლის ამხ. ი. კ. მიკიტენკოს სიტყვა

უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელებმა დაავალეს თავის დელეგაციას, რომლის შემადგენლობაში შედიან სოციალისტურ საწარმოთა სტახანოველები, კოლმეურნეები, ინჟინრები, მასწავლებლები, მწერლები, პროფესორები და აკადემიკოსები, — მთელი სულითა და გულით მხურვალე, სიყვარულითა და ერთგულებით აღსავსე სალამი გადასცეს ყრილობას და სსრ კავშირის ძირითადი კანონის გენიალურ შემოქმედს, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ხალხთა დიდ მეგობარსა და მასწავლებელს, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადს, ჩვენს მშობლიურ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს! **(ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის, ყველანი ფეხზე დგებიან, გაისმის „ვაშას“ ძახილი).**

სტალინური კონსტიტუცია წარმოადგენს იმ მძლავრ გზის მაჩვენებელ ვარსკვლავს, რომელიც ყველა ქვეყნის მშრომელთ გაუძღვება მათი სრული განთავისუფლებისაკენ, კაცობრიობის ისეთი შემოქმედებითი აყვავებისაკენ, როგორიც მსოფლიოში ჯერ არ ყოფილა.

საბჭოთა კავშირში მტკიცდება ხალხთა მძლავრი, დიდი სტალინის მიერ აღზრდილი, მეგობრობა. 170 მილიონიანი საბჭოთა ხალხი ყველა ენაზე მღერის გამარჯვებული სოციალიზმის სასიხარულო სიმღერას. ეს სიმღერა გაისმის, როგორც დიდებული ჰიმნი—ბოლშევიკური პარტიისადმი, სოციალიზმის გამარჯვებათა სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის—ამხანაგ სტალინისადმი! **(მქუხარე ტაში, შეძახილები „გაუმარჯოს დიდ სტალინს! „ვაშა!“)**

საბჭოთა კავშირში, სოციალისტური მშენებლობის ჩირაღდნებით გაცისკროვნებული, აღორძინდა მზიანი უკრაინა, ფრთები შეისხა მისმა 30 მილიონიანმა ხალხმა. მაღლა და მკაფიოდ ლაპლაპებს უკრაინელი ხალხის შემოქმედებითი აზრის, მისი კულტურის, მეცნიერების, ხალხური ხელოვნებისა და ლიტერატურის ცეცხლი.

ამხანაგ სტალინის ინიციატივით კიევი გახდა საბჭოთა უკრაინის დედაქალაქი, და კიევის მშრომელებმა იგი გადააქციეს სტალინის ინიციატივის ღირს ქალაქად.

უკრაინელმა ხალხმა კიევი გადააქცია მსხვილ ინდუსტრიულ ცენტრად. კიევი, რომელიც იყო მეფის მთავრობის კოლონიზატორული პოლიტიკის, უკრაინელი ხალხის ჩაგვრის ციხე-სიმაგრე, ხუცესთა შავრაზმული ბნელეთის მოციქულობის ცენტრი, — ახლა გადაქცეულია საბჭოთა უკრაინის —დასავლეთით სსრ კავშირის მძლავრი, ურყევი ფორპოსტის ღირსეულ დედაქალაქად (ტაში).

ჩვენი დელეგაციის სახელით ნება მომეცით გადავცე ჩვენი დედაქალაქის ზრდის ამსახავი ალბომი ამხანაგ სტალინს და მეორე ალბომი— საბჭოთა მთავრობის მეთაურს—ამხანაგ მოლოტოვს **(ტაშის გრიალში გადასცემს ალბომს პრეზიდიუმს).**

საბჭოთა კავშირში განხორციელებულის სიდიადე არ შეიძლება განიზომოს რაიმე პარალელებითა და ისტორიული შედარებებით, ვინაიდან ჩვენ ვცხოვრობთ კაცობრიობის ისტორიის უდიდეს ეპოქაში, ლენინ-სტალინის ეპოქაში, გამარჯვებული სოციალიზმის ეპოქაში, სტალინური კონსტიტუციის ეპოქაში (ტაში).

ჭეშმარიტად შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო ისტორიაში პირველად საბჭოთა კავშირში დაიწყო კაცობრიობის აყვავების ოქროს ხანა.

მაშ დაე გამარჯვებით იყოს აღსავსე სტალინური გენიის ნათელი მზის ქვეშ აყვავებული ჩვენი სოციალისტური, მძლავრი და მშვენიერი სამშობლოს ყველა მოძმე ხალხთა ცხოვრება (ტაში).

ხაი ჟივე, ხაი სვიტიტ ტრუდიაშჩიმ უსიხ კრაინ მოგუტნიაია ნარეჟი ველიკა ვსენაროდნა სტალინსკა კონსტიტუციია!

ხაი ჟივე ნაშ რიდნი ველიკი სტალინ! დიდება სტალინს!

ყველა დელეგატი ფეხზე დგება, მქუხარე ტაში, ძახილი: „ვაშა!“. „ამხანაგ სტალინს ვაშა!“. „ხაი ჟივე ნაშ რიდნიი ი ლიუბიმიი სტალინ“, „ვაშა!“ „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინის უახლოეს თანამებრძოლთ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებს!“ (მქუხარე ტაში „ვაშა“-ს გრიალი). სტალინის სიტყვა ამ ყრილობაზე გამოსულები დელეგატებისა, რომლებიც ყრილობას უპატაკებენ ჩვენი ქვეყნის მიღწევებისა და სწრაფად მზარდი სიმდიდრის შესახებ, თვით ფაქტი ყრილობისა კონსტიტუციის მისაღებად — გაზაფხულის ჭექა-ქუხილად ევლინება მთელს მსოფლიოს კიდით-კიდემდე.

დიდად მოწყურებული არიან გვიცნობდნენ ჩვენ, ამხანაგებო.

მაგრამ ჩვენ ნაკლებად გვიცნობენ. ჩვენი ქვეყნის არცოდნას აძლიერებს ფაშისტური გაზეთებისა და ფაშისტთა მიერ მოსყიდული გაზეთების სიცრუის კორიანტელი.

მე შევეხები ლიტერატურის პირდაპირ ამოცანებს. ისე, როგორც კონსტიტუციის ტექსტმა აღბეჭდა გამარჯვებული რევოლუციის მთელი შემოქმედებითი გზა—სწორედ ასევე საბჭოთა ლიტერატურამ გამოკვეთილ სახეებში და რომანების, პიესებისა და პოემების მხატვრულ კომპოზიციებში აღბეჭდოს ჩვენი ქვეყნის სახე, ახალი, ძლიერი, ახალგაზრდული სახე.

ამჟამად საბჭოთა ლიტერატურის წინაშე უდიდესი ამოცანები დგას. გაიზარდა ჩვენი მკითხველი და გაიზარდა აუცილებლობა ჩვენი მხატვრული წარმომადგენლობისა მთელს მსოფლიოში.

ჩვენ, მწერლები, ჩვენი დიდი ქვეყნის ხორცთხორცთაგანი, სისხლისსისხლთაგანი, თავს გავართმევთ ამ ამოცანებს. ჩვენ არა თუ თავს გავართმევთ, არამედ გავიმარჯვებთ, და უფრო ჩქარა, ვიდრე ესა ჰგონიათ, შემოქმედების ახალი უცნობი სფეროებისაკენ. ჩვენი ძაგება ცუდი არ არის. მაგრამ სჯობს ჩვენი იმედი გქონდეთ.

არ გიმტყუნებთ!

გაუმარჯოს ჩვენს ხალხს, ცხოვრების დიად შემოქმედს!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელოვნებას! (ხანგრძლივი ტაში).

გაუმარჯოს ჩვენს ბელადს სტალინს!

საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო VIII ყრილობა

კორპუსის მეთაურის ამხ. ვ. ვ. ხრიპინის სიტყვა

(მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალთა სამმართველოს უფროსის მოადგილე)

მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალთა მებრძოლნი უდიდესი კმაყოფილებით, სიხარულითა და აღფრთოვანებით შეხვდნენ დიდი სტალინური კონსტიტუციის პროექტს. მათ ერთსულოვნად მოიწონეს ეს დიდი ისტორიული დოკუმენტი, გამარჯვებული სოციალიზმის ეს დიდი ქარტია. მათ თავდადებით გაიარეს სახელოვან გზას ომებისა და გამარჯვებებისა, რომლებიც გამოიარა ჩვენმა ქვეყანამ და მისმა მუშურ-გლეხურმა წითელმა არმიამ სამოქალაქო ომისა და გაშლილი სოციალისტური მშენებლობის წლებში.

საჰაერო მებრძოლნი ბედნიერნი არიან მოახსენონ საბჭოების სრულიად-საკავშირო მე-8 ყრილობას, რომ მათი საბრძოლო მანქანები, ჩვენი საავიაციო ნაწილების ათასობით თვითმფრინავები ყოველთვის მზად არიან სამოქმედოდ (ტაში).

ყველა ისინი — ჩვენი მფრინავები, შტურმანები, ტექნიკოსები, ინჟინრები და წითელარმიელები — შემჭიდროვებული რიგებით, ურყევ ერთგულად აღმართული არიან ჩვენი კომუნისტური პარტიისა და ჩვენი ბელადის ამხანაგ სტალინის გარშემო (ტაში). ისინი პირობას აძლევენ საბჭოების მე-8 ყრილობას, რომ ყველა მებრძოლი, როგორც ერთი კაცი, მზად არის მთლიანად შეასრულოს თავისი საპატიო მოვალეობა, თავისი წმინდა მოვალეობა. ჩვენი ქვეყნის წინაშე, იგი დაიცავს მის საზღვრებს და ამ დაცვას შესწირავს მთელ თავის ძალას, მთელ ცოდნას, თავის სიცოცხლეს (ტაში).

ჩვენ ყველამ ვიცით, რომ კაპიტალისტური სახელმწიფოები გამალებით ემზადებიან ახალი დიდი ომისათვის. ჩვენ ვიცით, რომ ამ მომზადებაში უდიდეს ძალებსა და სახსრებს ხარჯავენ საჰაერო შეიარაღების განსავითარებლად. გერმანიისა და იტალიის ფაშიზმი განსაკუთრებით შეუპოვრად ხარჯავს თავის ძალღონეს უზარმაზარი საჰაერო არმიების განსავითარებლად. საერთაშორისო პრესაში, კერძოდ ინგლისელ მფრინავ-ქალის დოროტი ვუდმანის ცნობილ წიგნაკში, მოყვანილია მთელი რიგი ცნობები, რომლებიც აშუქებენ გერმანიის ავიაციის განვითარებას. იქ უკანასკნელი წლების განმავლობაში მობილიზებულია ათობით სამრეწველო საწარმო, რომლებიც ამზადებენ მანქანებსა და იარაღს სამხედრო ავიაციის შესაიარაღებლად. გერმანიის საჰაერო ფლოტის საბრძოლო შემადგენლობა დღეისათვის აყვანილია პირველი ხაზის ორ ათას მომქმედ თვითმფრინავამდე, თვითმფრინავთა საერთო რიცხვი კი ქვეყნის შიგნით განისაზღვრება. დაახლოებით 6-7 ათასი მანქანით.

ჩვენ არ შეგვიძლიან დავივიწყოთ ის გარემოება, რომ იტალია მოგვევლინა ისეთ ქვეყნად, რომელშიაც პირველად შეიქმნა დაუნდობელი საჰაერო ომის წარმოების თეორია. გენერალ დუეს სახელი შევიდა ისტორიაში, როგორც ჯალათისა, ფაბრიკებსა და ქარხნებში მშვიდობიანი მოსახლეობის გაწყვეტის ამ საშინელი და არაადამიანური თეორიის ფუძემდებლისა.— მოსახლეობის გაწყვეტისა იმ ქვეყნებში, რომლებთან საომრად იმყოფება იტალიის მეომრული თავშიში.

თუ ჩვენ მივმართავთ გერმანიის ოფიციოზურ ჟურნალს „ლუფტვერს", ამ წელს გამოცემულ პირველ ნომრებში ვიპოვით ციფრებს, რომლებიც ახასიათებენ საჰაერო ფლოტების მდგომარეობას სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში. ამ ცნობებით, იაპონიის ავიაციის საბრძოლო შემადგენლობა განისაზღვრება 2.050 თვითმფრინავით. ამერიკის საჰაერო ფლოტის რაოდენობა აყვანილია 2.700 მომქმედ მანქანამდე. ინგლისის ავიაციის რაოდენობა, ინგლისის პრესის ცნობებით, კოლონიების ავიაციის ჩაუთვლელად განისაზღვრებოდა 1.200 თვითმფრინავით. საფრანგეთის ავიაციას, რომელსაც ჯერ კიდევ დიდიხანს არ [illegible] პირველი ადგილი ეჭირა თავის ერთეულთა რიცხვით, — იქ 1935 წელს იყო დაახლოებით 2 ათასი თვითმფრინავი — თავისი პირველობა დაუთმო ამერიკის ავიაციას, რომელსაც მოსდევს გერმანიის საჰაერო ფლოტი. ინგლისისა და საფრანგეთის საჰაერო ფლოტის განვითარების ჩამორჩენამ შეაშფოთა ამ ქვეყნების მთავრობები და იქ მიღებულია საგანგებო ზომები საბრძოლო ნაწილთა ფართოდ გაშლისათვის. ამასთან ერთად გერმანიას, იტალიასა და იაპონიას საჭიროდ მიაჩნიათ გადააჭარბონ ინგლისისა და საფრანგეთის საჰაერო ფლოტების მშენებლობის ამ გაშლილ პროგრამას. ამის შედეგად ჩვენ ვხედავთ გაფართოებულ შეჯიბრებას საჰაერო შეიარაღებათა განვითარებაში, რომელთა საერთო რაოდენობა უმთავრეს კაპიტალისტურ ქვეყნებში დღეისათვის განისაზღვრება, დაახლოვებით, 11-12 ათასი მომქმედი თვითმფრინავით.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ტემპებს, რომლებიც აღებულ იქნა უკანასკნელი წლების განმავლობაში, უნდა ველოდოთ, რომ წლინახევრის — ორი წლის შემდეგ ეს შემადგენლობა ავა 17-18 ათას მომქმედ თვითმფრინავამდე. ეს — ძალიან დიდი ციფრია. თანამედროვე საჰაერო ფლოტი განსაკუთრებით იმით არის საშიში, რომ მის შემადგენლობაში პირველ ადგილას დაყენებულია ყუმბარმტყორცნი ავიაციის განვითარება, რომლის რიცხობრივი შემადგენლობა გერმანიაში აყვანილია საერთო საბრძოლო ერთეულთა რიცხვის 60 პროცენტამდე. თუ გამოვიანგარიშებთ თანამედროვე ყუმბარმტყორცნთა ტვირთის აწევის უნარიანობას, მათს უნარს — ერთი გადაფრენისას გადაზიდონ სხვადასხვა საბრძოლო დანიშნულების გამანადგურებელი ყუმბარები, ჩვენ საქმე გვექნება კოლოსალურ ციფრთან. დაახლოვებით 5-6 ათას ტონა ყუმბარასთან.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მთელი მსოფლიო ომის განმავლობაში გერმანიის საჰაერო ფლოტმა ინგლისის, საფრანგეთისა და მეფის რუსეთის ტერიტორიაზე ჩამოყარა 27 ათასი ტონა ყუმბარა. ახლა ეს რაოდენობა მეომარ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე შეიძლება მიტანილ და გასროლილ იქნას 5 გადაფრენის განმავლობაში.

მაგრამ ჩვენ კაპიტალისტების ამ საჰაერო შეიარაღებისა არ გვეშინია. ჩვენმა ქვეყანამ გამოსჭედა თავისი ძლიერი საჰაერო იარაღი. ჩვენი საჰაერო ფლოტი თავისი საბრძოლო რიცხვით, შეიარაღების ხარისხით, საჰაერო მებრძოლთა სამხედრო ცოდნით, კადრების შემჭიდროვებით, მომავალ ბრძოლაში თავდადების უნარით — ყველაზე უფრო ძლიერ ფლოტს წარმოადგენს ყოველი კაპიტალისტური ქვეყნის ყოველ საჰაერო ფლოტთან შედარებით (ტაში).

აი რამდენიმე ციფრი. ამა წლის 10 თვის განმავლობაში ჩვენი საავიაციო მრეწველობის თვითმფრინავთა ქარხნების პროდუქციამ, გასული წლის იმავე დროსთან შედარებით, თითქმის ერთიორად იმატა. ჩვენ გვაქვს 94.5 პროცენტის მატება (მქუხარე ტაში). მოტორების ქარხნების ხაზით ჩვენმა მრეწველობამ, ნაცვლად გასული წლის 100 პროცენტისა, მოგვცა 146 პროცენტი (ტაში). ცალკეულმა საწარმოებმა ამ ციფრს გადააჭარბეს. მაგალითად, ერთერთმა ჩვენმა უდიდესმა თვითმფრინავთმშენებელმა ქარხანამ ამა წლის 10 თვის განმავლობაში თითქმის ერთისამად გადააჭარბა გასული წლის პროდუქციას (ტაში).

ჩვენს მოტორს „ამ-34-ს" ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიო [illegible] თესო მოტორებს. ამ მოტორებით ჩვენი მძიმე გემები სულ ახალ და ახალ მსოფლიო რეკორდებს ამყარებენ (ტაში).

ჩვენი საჰაერო ძალების საბრძოლო რაოდენობამ კიდევ უფრო იმატა და 1931 — 32 წ. რაოდენობას გადააჭარბა ერთიორად და უფრო მეტად (მქუხარე ტაში).

ჯერ კიდევ ცოტა ხნის, სულ 2-3 წლის წინათ, ჩვენს ქვეყანას საშუალება არ ჰქონდა გამოსულიყო საერთაშორისო შეჯიბრების ასპარეზზე მსოფლიო რეკორდებისათვის ბრძოლაში, როგორც ტექნიკური პროგრესის მაჩვენებელი, როგორც ტექნიკის ყველაზე უფრო მაღალი დონეების მაჩვენებელი. ახლა მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. 1936 წელი განსაკუთრებით დამახასიათებელია მსოფლიო რეკორდებზე ჩვენი გაშლილი შეტევით.

ამხ. ხრიპინი ჩამოსთვლის მთელი ჩვენი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოსათვის ცნობილ რეკორდებს, რომლებიც დაამყარეს ჩვენმა მფრინავებმა: კოკინაკიმ, ალექსეევმა, იუმაშევმა, ნიუხტიკოვმა.

— ჩვენ ყველას გვახსოვს, ამხანაგებო, — განაგრძობს ამხ. ხრიპინი, — ჩვენთვის ახლობელი, ჩვენთვის ძვირფასი გადაფრენა, რომელიც ამ წელს ჩკალოვის, ბელიაკოვისა და ბაიდუკოვის მამაცმა ეკიპაჟმა შეასრულა სტალინური მარშრუტით 9.374 კილომეტრის მანძილზე.

ჩვენ ყველანი ვამაყობთ საბჭოთა კავშირის გმირების — ამხანაგების ლევანევსკისა და მოლოკოვის წარმატებებით, რომლებმაც შეასრულეს შესანიშნავი ისტორიული გადაფრენები. ჩვენ ყველას გვახსოვს ამხ. გრომოვის გადაფრენა მოსკოვიდან ლენინგრადამდე და უკან ერთ საათში 350 კილომეტრის საშუალო სისწრაფით (ტაში).

საბრძოლო ნაწილთა რიგებში რიგითი მფრინავები თავის მეთაურთა ხელმძღვანელობით დღითიდღე აღწევენ დიდ გამარჯვებებს ტექნიკის დაუფლების საქმეში, რთულ პირობებში მისი გამოყენებით. მე აქ ერთ მაგალითს მოვიყვან. საჭირო იყო სასწრაფოდ გადაგვესროლა ხაბაროვსკში ინჟინერ [illegible] მანი და მექანიკოსი [illegible] თვითმფრინავ „ანტ-25"-ის ეკიპაჟის შესახვედრად, ჩვენი გმირების შესახვედრად. ერთი დღის მომზადების შემდეგ ჩვენი სამხედრო მფრინავი, უფროსი ლეიტენანტი ამხ. პროსკუროვი 30 ივლისს აფრინდა მოსკოვში, 31 ივლისს კი მშვიდობით ჩაფრინდა ხაბაროვსკში (მქუხარე ტაში).

თქვენ იცით, რომ ჩვენი ჯარების რიგებში, ახალგაზრდობის რიგებში, საავიაციო ნაწილებში ემზადებიან ათეული ათასობით პარაშუტისტები — ეს სახელოვანი მებრძოლები. მე უნდა აღვნიშნო, რომ მარტო მოსკოვის ოლქის მანევრებზე ამ წელს ჩვენმა ავიაციამ „მოწინააღმდეგე" მხარის ზურგში გადაიყვანა მთელი მსროლელი დივიზია და გადმოსხა 2.200 პარაშუტისტი (მქუხარე ტაში). მათ შემდეგ პირობითი „მტრის" ზურგში გადასხმულ იქნა 3 ათასზე მეტი მებრძოლი საბრძოლო ტექნიკითა და სასროლო საშუალებებით.

საჰაერო ფლოტის მშენებლობის უბანზე ყველაზე უფრო შესანიშნავ გამარჯვებას წარმოადგენს ათეული ათასობით მამაც მფრინავთა, ტექნიკოსთა, ინჟინერთა და სხვა სპეციალისტთა მომზადება. ამ მუშაობაში უდიდეს როლს თამაშობს და ითამაშებს ჩვენი სახელოვანი, მებრძოლი, წითელდროშოსანი ლენინური კომკავშირი, რომელიც საუკეთესო ადამიანებს გვაძლევს (ტაში), და თუ გერმანიაში გერმანულ მფრინავთა გენერალმა გერინგმა წამოაყენა 70 ათასი მფრინავის მომზადების ლოზუნგი, ჩვენ უნდა გვყავდეს 100 ათასზე მეტი მფრინავი.

ყველა ეს გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა, საჰაერო მშენებლობის ხელმძღვანელობაში უახლოეს მონაწილეობას რომ არ იღებდეს ჩვენი უბრძენესი ბელადი და მასწავლებელი ამხანაგი **სტალინი** (ტაში). ამხანაგი სტალინი ჩვენი წითელი საჰაერო ფლოტის ყველაზე უახლოესი მეგობარია, იგი იცნობს ყველა მის საჭიროებას, იგი წარმართავს მის ტექნიკურ განვითარებას. იგი ხელმძღვანელობს საჰაერო ფლოტის მთელს ჩვენ მრავალნაირ მშენებლობას. ამ მშენებლობაში ამხანაგ სტალინს უდიდეს დახმარებას უწევდნენ, უწევენ და გაუწევენ მისი თანამებრძოლები — მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარი ამხ. ორჯონიკიძე და თავდაცვის სახალხო კომისარი, საბჭოთა კავშირის მარშალი ამხ. ვოროშილოვი (ტაში).

ჩვენ, საჰაერო მებრძოლნი, მადლობას ვუცხადებთ ამხ. ორჯონიკიძეს და მის უახლოეს თანაშემწეს, საავიაციო მრეწველობის მთავარი სამმართველოს უფროსს ამხ. მ. მ. კაგანოვიჩს შესანიშნავი საბრძოლო მანქანებისათვის, და ჩვენ სავსებით დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი მძიმე მრეწველობა ხვალ ჩვენ მოგვცემს კიდევ უფრო უკეთესი ხარისხის, კიდევ უფრო გაუმჯობესებულ შეიარაღებას, რომ იგი საუკეთესო იყოს მთელ მსოფლიოში.

ჩვენი საყვარელი სახკომის, საბჭოთა კავშირის მარშლის ამხ. ვოროშილოვის ხელმძღვანელობით (მქუხარე ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან და ოვაციას უმართავენ ამხ. ვოროშილოვს. შეძახილები: „გაუმარჯოს ამხანაგ ვოროშილოვს", „ვაშა ამხ. ვოროშილოვს!") იზრდებიან და მრავლდებიან საჰაერო ფლოტის საბრძოლო ნაწილები, მტკიცდებიან მისი კადრები, რომლებიც ემზადებიან ჩვენი ქვეყნის დასაცავად ყველა მის საზღვარზე. და თუ გერმანიის ფაშისტები და სხვა ქვეყნების ფაშისტები, რომლებიც იარაღს აჟღარუნებენ, იმუქრებიან ჩვენს საბჭოთა კავშირს, ვაი მათ, თუ ჩვენი საბჭოთა ქვეყანა იძულებული გახდება აამოქმედოს თავდაცვის ყველა ჩვენი ინსტრუმენტი და იარაღი (ტაში).

გაუმარჯოს ჩვენს გამარჯვებათა ორგანიზატორს, დიდ ბელადს და უბრძენეს მასწავლებელს, ჩვენს მეგობარს ამხანაგ სტალინს! (**მქუხარე ტაში, რამდენიმე წუთს გრძელდება ოვაცია ამხანაგ სტალინის პატივსაცემად. შეძახილები: „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!" „ვაშა ამხანაგ სტალინს!"**).

ლ. მ. კაგანოვიჩი —საბჭოთა კავშირის საჰაერო ფლოტის შემქმნელს, ჩვენი სახელოვანი შევარდნების — საბჭოთა მფრინავების აღმზრდელს, ამხანაგ სტალინს ჩვენი ხმამაღალი ვაშა! (**მგზნებარე „ვაშა" ქუხს მთელ დარბაზში. ყველანი ფეხზე დგებიან და მქუხარე, ხანგრძლივ ოვაციას მართავენ ამხანაგ სტალინის პატივსაცემად**).

ამხ. ნ. ვ. კრილენკოს სიტყვა

(სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარი)

ჩვენი საბჭოთა კონსტიტუცია არის სოციალისტური საზოგადოების მშრომელების უფლებათა ფიცარი, ახალი სოციალისტური საზოგადოების ექსპლოატაციისაგან გათავისუფლებული ადამიან-მოქალაქის უფლებათა ფიცარი. ჩვენი სტალინური კონსტიტუცია არის მუქარა, რომლითაც სხვა ქვეყნების მშრომელებიც იხელმძღვანელებენ და რომლის მიხედვით ააშენებენ სოციალისტურ საზოგადოებას.

მაგრამ ჯერჯერობით ჩვენ კარს გვარტყია კაპიტალისტური სამყარო, ჯერჯერობით გარს გვარტყია კლასობრივი და ექსპლოატატორული საზოგადოება და ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ მოქმედებს მტრების აგენტურა. და ამიტომ ახალი სტალინური კონსტიტუცია არის არა მარტო სოციალისტური საზოგადოების ახალი ადამიანის, ახალი მოქალაქის უფლებათა ფიცარი, იგი ამავე დროს არის სახელმწიფოს კონსტიტუცია, სახელმწიფოსი, როგორც ჩვენს ქვეყანაში მშრომელი მასების ბატონობის ორგანიზაციისა მუშათა კლასის მეთაურობით და ამიტომ იგი გვასწავლის—არა მარტო დავიცვათ მშრომელთა უფლებანი, არამედ აგრეთვე ლახვარი ჩავცეთ და მოვსპოთ მტერი (ტაში).

ჩვენი სახელმწიფო არის პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო.

კონსტიტუციის პროექტი თავის—პირველსა და მესამე მუხლებში ამბობს, რომ სსრ კავშირი „არის მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფო", სადაც მთელი ძალაუფლება „ეკუთვნის ქალაქისა და სოფლის მშრომელებს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სახით".

რაშია ჩვენი დემოკრატიის დედაარსი? აი როგორ ახასიათებს ამხანაგი სტალინი ამ დედაარსს: „საბჭოთა სახელმწიფო აპარატი ამ სიტყვის ღრმა აზრით შესდგება საბჭოებისაგან პლუს მილიონიანი ორგანიზაციები ყველა და ყოველგვარ უპარტიო და პარტიულ გაერთიანებებისა, რომლებიც აერთიანებენ საბჭოებს [illegible] „დაბალ ფენებთან", აერთიანებენ სახელმწიფო აპარატს მილიონიან მასებთან და თანდათანობით სპობენ სახელმწიფო აპარატსა და მოსახლეობას შორის ბარიერის ყოველგვარ მსგავსებას". („ლენინიზმის საკითხები". „კითხვა-პასუხი", მე-9 გამოც. გვ. 149).

საბჭოთა სახელმწიფოს წყობილება მიზნად ისახავს ჩააბას სახელმწიფო მართველობაში მილიონობით მშრომელები და ყოველნაირად გააფართოვოს და გააძლიეროს ეს მონაწილეობა. ასე არიან აგებული ყველა საბჭოთა სახელმწიფო დაწესებულებანი, რომლებიც მილიონობით მშრომელებთან მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიზმით.

მე არ შემიძლიან, ამხანაგებო, არ შევჩერდე იმაზე, თუ როგორ ტარდება კონსტიტუციის პროექტით ჩვენი საბჭოთა დემოკრატიზმი, სოციალისტური დემოკრატიზმი სასამართლოს დარგშიც.

კონსტიტუციით სასამართლო ახალ სიმაღლეზე ადის და აიგება სწორედ სახელმწიფო მმართველობაში მშრომელი მასების მაქსიმალურად ჩაბმის ამ პრინციპების მიხედვით.

სახალხო სასამართლო ახალი კონსტიტუციის პროექტის თანახმად შედგება საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით. როგორც ორგანო, რომელსაც ირჩევს რაიონის მოსახლეობა, სცვლის რაიონის მოსახლეობა. იგი პასუხისმგებელია ხალხის წინაშე. მას ირჩევს ხალხი და სცვლის ხალხი. აი როგორ აიგება სასამართლო ახალი კონსტიტუციის პროექტის მიხედვით.

სასამართლოს ნამდვილ დამოუკიდებლობას ჩვენში უზრუნველჰყოფს 112 მუხლი, რომელიც ამბობს: „მოსამართლენი დამოუკიდებელნი არიან და მხოლოდ კანონს ემორჩილებიან". როგორ უნდა გაისმოდეს ეს მუხლი? როგორ კანონს? ჩვენს კანონს, საბჭოთა კანონს.

[illegible] დემოკრატიებში, ძალაუფლება ხელთ უპყრიათ ფაშისტებს, კაპიტალისტებსა და მემამულეებს და სასამართლო მათ ხელში წარმოადგენს ექსპლოატაციის იარაღს, რომელიც ფულის ქისის ინტერესებს იცავს.

სსრ კავშირში სახელმწიფო ძალაუფლება ხელთ უპყრიათ მუშებსა და გლეხებს. მათ მოიპოვეს გამარჯვება და შექმნეს თავისი სახელმწიფო.

ჩვენი კანონი არის მშრომელი მასების ნებისყოფის გამოხატულება. ჩვენი კანონი არის მუშათა კლასისა და გლეხობის ნებისყოფის გამოხატულება. ამ კანონს ემორჩილება სასამართლო. ეს კანონი მან უნდა გაატაროს და გაატარებს კიდეც ცხოვრებაში, როგორც ორგანომ, რომელიც უშუალოდ ხალხის მასებიდან გამოვიდა, როგორც მშრომელთა ხორცი-ხორცთაგანმა, როგორც ჩვენი სოციალისტური კოლექტივის სისხლი - სისხლთაგანმა, რომელთანაც იგი უაღრესად მჭიდროდაა დაკავშირებული.

ჩვენი სოციალისტური სამართალი, სოციალისტური კანონები და ჩვენი, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით სახალხო სასამართლოები სოციალისტური სახელმწიფოს ხელში იქნებიან საზოგადოების გარდაქმნის მძლავრი იარაღი, ახალი საზოგადოებრივი წყობილების განმტკიცების მძლავრი იარაღი, იარაღი შეგნების გარდაქმნისა. მათ რიცხვში იძულების გამოყენების გზითაც.

ამჟამად, როცა ლენინის საქმის დიდი განმგრძობი, ჩვენი საყვარელი, მშობლიური სტალინი გვაძლევს საშუალებას რეალურად ვიგრძნოთ, შევიგრძნოთ, ცხადად ვიგემოთ გამარჯვებათა და ჩვენი შრომის ეს ნაყოფი, — სასიხარულო და საამური ცხოვრება. სასიხარულო და საამურია გასწიო შემოქმედებითი მუშაობა, სასიხარულო და საამურია გრძნობდე თავს ჩვენი მრავალმილიონიანი სოციალისტური კოლექტივის წევრად და ჩვენი სტალინის — მთელი მსოფლიო კაცობრიობის ბედნიერებისა და გამარჯვებების გამარჯვებებისა და ბედნიერების დიდი ორგანიზატორის წინამძღოლობით გასწიო წინ. წინ კომუნიზმისაკენ (**ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის**).

ამხ. ა. ა. ველშის სიტყვა

(ვოლგის მხარის გერმანელთა რესპუბლიკის საქ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტის მდივანი)

ჩვენ, ვოლგის მხარის გერმანელთა ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დელეგატებს, ჩვენი საბჭოების საგანგებო ყრილობისაგან სპეციალური დავალება გვაქვს — საბჭოების სრულიად-საკავშირო ყრილობას და ამხანაგ სტალინს გადავცეთ ის სიხარულის ღრმა გრძნობა, რომლითაც ვოლგის მხარის გერმანელთა რესპუბლიკის მშრომელნი შეხვდნენ სტალინურ კონსტიტუციას (ტაში).

ლენინურ - სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განხორციელებამ უზრუნველჰყო ვოლგის მხარის გერმანელთა ავტონომიური რესპუბლიკის მეურნეობის, კულტურისა და მშრომელთა კეთილდღეობის გაუგონარი აღმავლობა. ჩვენს რესპუბლიკაში ახლა შექმნილია საკუთარი მრეწველობა, რომელიც რევოლუციამდე სრულებით არ არსებობდა. ჩვენს რესპუბლიკაში ახლა დაახლოვებით 20 ფაბრიკა და ქარხანაა. აგრეთვე ხორცის უდიდესი კომბინატი 6 ათასი ტონა ხორცის მაცივრით.

ვოლგის მხარის გერმანელთა რესპუბლიკის მთელი მშრომელი გლეხობა გაერთიანებულია 412 კოლმეურნეობაში. რომლებსაც აქვთ 5 ათასი ტრაქტორი, 1.200 კომბაინი. 600-ზე მეტი ავტომანქანა. თვითეულ კოლმეურნეობაზე საშუალოდ მოდის მეცხოველეობის ორზე მეტი ფერმა. ამ წელს ჩვენს რესპუბლიკაში ლიკვიდირებულია ყველა კოლმეურნის უძროხობა.

რესპუბლიკაში ახლა გვყავს 3 ათასი მასწავლებელი. რევოლუციამდე კი იყო სულ 178. წერა-კითხვის მცოდნენი ჩვენში ახლა შეადგენენ მთელი მოსახლეობის 98 პროცენტს, რევოლუციამდე კი წერა-კითხვის მცოდნეობა შეადგენდა 50 პროცენტს.

ახლა ჩვენ გვაქვს საკუთარი უმაღლესი სასწავლებელი, ტექნიკუმები, სკოლები, საავადმყოფოები, საკუთარი ხელოვნება, საკუთარი ნაციონალური ბოლშევიკური კადრები. რესპუბლიკას ჰყავს გერმანელებისაგან შემდგარი თავისი სამხედრო ნაწილი, რომელსაც საბრძოლო მომზადებაში მაჩვენებლები აქვს მხოლოდ „ფრიადი" და რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა ვოლგის მხარის სამხედრო ოლქში (ტაში).

აი ფაქტების ენაზე რას ნიშნავს საბჭოთა ხელისუფლება, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკა ვოლგის მხარის გერმანელთა რესპუბლიკის წინათ დაჩაგრულ მშრომელთათვის და ჩვენი საბჭოთა კავშირის სხვა ეროვნებებისათვის. ვოლგის მხარის გერმანელი მშრომელნი, როგორც ერთი კაცი, თავისი სოციალისტური სამშობლოს, თავისი მთავრობის, თავისი პარტიისა და თავისი საყვარელი სტალინის ერთგულნი არიან.

განიხილავენ რა სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტს, ვოლგის მხარის გერმანელთა რესპუბლიკის მშრომელთ არ შეეძლოთ არ გაეხსენებინათ თავისი მძიმე წარსული ცხოვრება, რომელიც კიდევ უფრო საზიზღარი სახით აღადგინეს ახლა ფაშისტურ გერმანიაში. ფაშიზმი — ამბობენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელნი — ეს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს უბოროტესი მტერია, ეს — მშრომელთა საპატიმროა, ეს შიმშილობაა, უმუშევრობა, ტერორი, ეს — კულტურის მოსპობაა, ომი და სუსტ ხალხთა დაჩაგვრა, ბარბაროსობა და ადამიანის მკვლელობა.

ვოლგის მხარის გერმანელთა რესპუბლიკის მშრომელებს მხურვალედ უყვართ თავისი სოციალისტური სამშობლო, ჩვენი ძლიერი წითელი არმია და მისი ბელადი საბჭოთა კავშირის მარშალი ამხანაგი ვოროშილოვი. (ტაში). იგი უსაზღვროდ ერთგულია ჩვენი მთავრობისა, ჩვენი უძლეველი ბოლშევიკთა პარტიისა, ჩვენი ბელადისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა მამის ამხანაგ სტალინისა (ტაში).



[illegible] მე-5 რუსული საშუალო სკოლის მერვე [illegible] შორის სახელმწიფო გერბი". [illegible] მის მიერ დამზადებული სასაჩუქრო. [illegible] მალაფეევისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.).

გამოძახილი სსრ კავშირის საბჭოების VIII ყრილობის გამო

ლონდონი, 2 დეკემბერი (საქტესი). ლონდონის გაზეთებმა მოათავსეს მოკლე ცნობები ამხ. მოლოტოვის სიტყვის შესახებ საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო მე-8 ყრილობაზე. ამხ. მოლოტოვის სიტყვის კომენტარიებს გაზეთები ჯერ არ იძლევიან.

პრაღა, 2 დეკემბერი (საქტესი). ჩეხოსლოვაკიის გაზეთებმა მოათავსეს დაწვრილებითი ამონაწერები ამხ. მოლოტოვის და ამხ. ლიტვინოვის სიტყვებიდან საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო მე-8 ყრილობაზე. გაზეთები განსაკუთრებით უსვამენ ხაზს იმ ადგილებს, რომლებიც შეეხებიან გერმანია-იაპონიის შეთანხმებას, საბჭოთა კავშირის დამოკიდებულებას ერთა ლიგასთან და სხვ.

სტოკჰოლმი, 2 დეკემბერი (საქტესი). გაზეთი „სოციალდემოკრატენი" სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციას უძღვნის მოწინავე სტატიას; ამ სტატიაში გაზეთი სტალინურ კონსტიტუციას ახასიათებს, როგორც „დოკუმენტს, რომელიც განსაკუთრებით დიდი ყურადღების ღირსია, რომელიც მოასწავებს მსოფლიო დემოკრატიის უდიდეს პროგრესს".

შემდეგ გაზეთი ეხება საბჭოთა ახალი კონსტიტუციის მომზადების ისტორიას და აღნიშნავს მასების აქტიურ მონაწილეობას ამ საქმეში.

აღნიშნავს რა ამხანაგ სტალინის მიერ ყრილობაზე გაკეთებული მოხსენების განსაკუთრებულ მნიშვნელობას, გაზეთი გადმოსცემს ახალი კონსტიტუციის უმნიშვნელოვანეს მუხლებს და დასაბუთებას, რომელიც ამ კონსტიტუციის მისცა ამხანაგმა სტალინმა. გაზეთი განსაკუთრებით ხაზს უსვამს ცვლილებებს, რომლებიც მოხდა სსრ კავშირის კლასობრივ სტრუქტურაში.

ანკარა, 2 დეკემბერი (საქტესი). თურქეთის პრესა კვლავ ათავსებს გამოხმაურებას სსრ კავშირის საბჭოების მე-8 ყრილობაზე. გაზეთი „ტანი" კომენტარიებს უკეთებს ამხანაგ სტალინის მოხსენებას და სწერს: „სტალინის მოხსენება, რომელიც მან გააკეთა საბჭოების სრულიად-საკავშირო ყრილობაზე, წარმოადგენს ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტს. აჯამებს რა განვლილი ეპოქის შედეგებს და აღნიშნავს რა საბჭოთა კავშირის არსებულ მდგომარეობას, მოხსენება სახავს სსრ კავშირის განვითარების შემდგომ გზას". გაზეთი განსაკუთრებით ხაზს უსვამს სსრ კავშირის მიღწევათა საერთაშორისო მნიშვნელობას ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დარგში. შემდეგ გაზეთი გადმოგვცემს ამხანაგ სტალინის მოხსენების უმნიშვნელოვანესი ადგილების შინაარს; აგრეთვე მოჰყავს მთელი რიგი ციტატები მოხსენებიდან და განმარტავს აზრს ახალი კონსტიტუციისას, რომელიც ასახავს სოციალიზმის მიღწევებს.

ყველა გაზეთმა თვალსაჩინო ადგილას მოათავსა ამხ. ლიტვინოვის სიტყვა საბჭოების მე-8 ყრილობაზე.

მოსკოვი

(ტელეფონით ჩვენი კორესპონდენტისაგან)

გუშინ, 2 დეკემბერს საბჭოების VIII ყრილობის დელეგატების ნაწილმა, მათ შორის უკრაინის, ბელორუსიის, აზოვ-შავიზღვისა და საქართველოს დელეგატებმა დაათვალიერეს ლენინის მუზეუმი. მუზეუმმა დელეგატებზე მეტად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ჭარხლის მინდვრების ცნობილმა სტახანოველმა მარინა გნატენკომ თქვენს კორესპონდენტს განუცხადა, რომ მუზეუმის დათვალიერება მისთვის იყო საუცხოო ლექცია ჩვენი პარტიის ჩასახვისა და გამარჯვებათა ისტორიის შესახებ.

O

დღეს გამოვიდა „ოგონიოკის" ნომერი, მიძღვნილი საბჭოების საგანგებო VIII ყრილობისა და კონსტიტუციის პროექტისადმი. ამ ნომერში მოთავსებულია ნაციონალურ რესპუბლიკათა 10 ორდენოსანი პოეტის საუკეთესო ნაწარმოებნი, მათი ბიოგრაფიები და სურათები. ჟურნალში მოთავსებულია გალაკტიონ ტაბიძის ლექსები: „სტალინი და ახალი ხიდი", „დროშები", თარგმანი ვლადიმირ დერჟავინის, ტიხონოვისა და გაფრინდაშვილისა; მოთავსებულია აგრეთვე პაოლო იაშვილის ლექსები: „სტალინი", „წერილები უკრაინელ ქალისადმი", თარგმანი ბორის პასტერნაკისა. ნომერში დაბეჭდილია აგრეთვე ილო მოსაშვილის დიდი ლექსი „ბედნიერი სამშობლო", თარგმანი ვლადიმირ დერჟავინისა.

O

დღეს ნაშუადღევის 3 საათზე შეუდგა მუშაობას სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის ტექსტის საბოლოოდ დამმუშავებელი სარედაქციო კომისია. საქართველოს დელეგატები, რომლებიც ამ კომისიაში შედიან, დიდად აღფრთოვანებული არიან.

თქვენს კორესპონდენტთან საუბარში ამხანაგმა სამხარაძემ — ჭიათურის მარგანეცის ამხანაგ სტალინის სახელობის მაღაროს მნგრეველმა — განაცხადა:

— უაღრესად ბედნიერი ვარ, რომ წილად მხვდა დიდი პატივი მონაწილეობა მივიღო დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის თავმჯდომარეობით სარედაქციო კომისიის მუშაობაში.

აფხაზეთის დელეგატმა კოლმეურნე ქალმა უშა ახუბამ თქვენს კორესპონდენტთან საუბარში სთქვა:

— დიდი სტალინური კონსტიტუცია, რომელშიც ჩაწერილია ჩვენ მიერ მოპოვებული უფლებანი, ლაპარაკობს სსრ კავშირის ყველა ხალხებზე. მათ შორის ჩვენზეც, აფხაზებზეც. ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხელისუფლების დროს აფხაზეთი გადაიქცა ულამაზეს კუთხედ მსოფლიოში. ვოროშილოვის სახელობის ჩვენი კოლმეურნეობა წლითიწლობით მდიდრდება. ჩვენ ვაძლევთ ქვეყანას საუკეთესო ხარისხის ჩაისა და თამბაქოს. საბჭოთა ხელისუფლება დაგვეხმარა სკოლების, სამშობიარო სახლების და ბაგების მშენებლობაში. წარსულს ჩაბარდა სიღარიბე და უმეცრება. ჩვენ წერა-კითხვის მცოდნენი და კულტურულნი გავხდით. კოლმეურნეები სიხარულით გადიან მინდვრად სამუშაოთ. ჩვენ ვცხოვრობთ და ვმუშაობთ, თან ქება-დიდებას ვუძღვნით ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს, რომელმაც ბედნიერი ცხოვრება მოგვცა. ჩვენში მის პატივსაცემად გამოთქმულია ლექსები.

საქართველოს მეორე დელეგატმა ქალმა ნადია აბლოთიამ განაცხადა:

— ჩვენი შრომა, ისევე როგორც ჩვენი სიცოცხლე, სამშობლოს ეკუთვნის. ჩვენ ვმუშაობთ მისი კეთილდღეობისათვის, მისი აყვავებისათვის, ჩვენი საერთო ბედნიერებისათვის, ვიბრძვით იმ მოპოვებულ უფლებებისათვის, რომელთა შესახებ ასე ბრწყინვალედ ლაპარაკობს კონსტიტუციის შემომქმედი ამხანაგი სტალინი. ჩვენ არასოდეს არ დავუთმობთ ამ უფლებებს, რაც უნდა ცოფი ჰყარონ ჩვენმა მტრებმა.

ესპანეთის ფრონტებზე

ესპანეთის სამხედრო სამინისტროს ცნობა

ბარსელონა, 1 დეკემბერი (საქდესი). მადრიდის ფრონტზე მეამბოხენი ენერგიულ შეტევაზე გადმოვიდნენ ცენტრალურ უბანზე, განსაკუთრებით საუნივერსიტეტო ქალაქის რაიონში, მაგრამ უკუგდებულ იქნენ.

უესკის სექტორში მეამბოხეთა თვითმფრინავები ცდილობდნენ ყუმბარები დაეშინათ რესპუბლიკელთა პოზიციებისათვის, მაგრამ, მთავრობის გამანადგურებლებმა ისინი უკუაქციეს.

პარიზი, 2 დეკემბერი (საქდესი). დღეს, დილის 6 საათზე, (9 საათზე მოსკოვის დროით) ჰავასის სააგენტოს მიერ გადმოცემულია ესპანეთის სამხედრო სამინისტროს 1 დეკემბრის ცნობა, რომელშიაც ნათქვამია:

„ცენტრალურ ფრონტზე რესპუბლიკელთა ჯარები დიდად აზარალებენ მეამბოხეთა ჯარებს. დილაადრიანადვე მთავრობის არტილერიამ ყუმბარები დაუშინა მეამბოხეთა პოზიციებს. ამ ცეცხლით გაფანტულ იქნენ მეამბოხეთა ის ჯარები, რომლებიც გუშინ იერიშზე გადმოვიდნენ.

რესპუბლიკელთა ჯარებმა დაიწყეს შეტევა პასეოდელო დე ალარკონის რაიონში და მეამბოხენი განდევნეს მათი პოზიციებიდან. მეამბოხენი, რომლებიც უკან იხევენ რესპუბლიკელთა რაზმელების შეტევით, იძულებულნი იყვნენ ბრძოლაში ჩაებათ თავიანთი სარეზერვო ნაწილები. მთავრობის ჯარებმა, რომლებიც იერიშს აფართოებენ, წინ წაიწიეს კაზა კემადასა და კარაბიტასის მიმართულებით, რომლებიც დასავლეთით მდებარეობენ.

მეამბოხეთა ჯარებისაგან განსხვავებით, რესპუბლიკელთა ჯარების საბრძოლო სულიერი განწყობილება მტკიცე ხდება. რესპუბლიკელთა არტილერიამ ყუმბარები დაუშინა მეამბოხეთა ბატარეებს და მოსპო მათი რამდენიმე ქვემეხი.

როგორც კი მთავრობის 40 ავიაგამანადგურებელი აფრინდა, მეამბოხეთა სამმოტორიანი ყუმბარმტყორცნები სწრაფად გაბრუნდნენ, რათა თავიდან აეცილებინათ საჰაერო ბრძოლა. ეს წესად იქცა მეამბოხეთა ავიაციისათვის, რომელიც ყუმბარების დაშენას ცდილობს ღამის საფარქვეშ.

დღის დამლევს მთავრობის ჯარებმა დაიკავეს საუკეთესო პოზიციები. ჩამოაგდეს მეამბოხეთა სამმოტორიანი თვითმფრინავი".

პარიზი, 2 დეკემბერი (საქდესი) „ევრს" მოჰყავს ცნობა, მიღებული გუშინ საღამოს 6 საათზე მადრიდიდან. ამ ცნობის თანახმად, რესპუბლიკელთა ავანგარდებმა აფეთქეს კლინიკური ჰოსპიტლის შენობა საუნივერსიტეტო უბანში. ეს შენობა უკანასკნელი 15 დღის განმავლობაში მეამბოხეთა ხელში იყო. აქ მათ დადგმული ჰქონდათ ტყვიამფრქვევები. ამ შენობის დაკარგვით მეამბოხეებმა თავისი უკანასკნელი პოზიციები დაჰკარგეს საუნივერსიტეტო უბანში.

მეამბოხეების იერიშები მადრიდის ფრონტზე მოგერიებულია

პარიზი, 2 დეკემბერი (საქდესი). როგორც იტყობინებიან, მადრიდის დაცვის კომიტეტის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ მეამბოხეების ყველა იერიში მადრიდის ფრონტზე უშედეგო გამოდგა. მეამბოხენი ყველგან უკუქცეულ იქნენ. მათ დიდი ზარალი ნახეს. რესპუბლიკის ჯარები კონტრიერიშზე გადავიდნენ და წინ წაიწიეს საუნივერსიტეტო უბნის რაიონში.

ბისკაის ფრონტზე მეამბოხეების ცდა იერიში მიეტანათ ეიბარზე სრული მარცხით დამთავრდა.

მონდრაგონის რაიონში რესპუბლიკური ნაწილები კვლავ გარს ერტყმიან ვილარეალს.

მეამბოხენი გაზებს იყენებენ

ლონდონი, 2 დეკემბერი (საქდესი) ბრიტიშ იუნაიტედ პრესის სააგენტოს მადრიდელი კორესპონდენტი იუწყება რომ ესპანელი ფაშისტი მეამბოხენი იყენებენ მომწამვლელ ნივთიერებებს. სააგენტოს ცნობით, ინტერნაციონალური რაზმის [illegible] განაცხადეს, რომ გუშინ მადრიდის ჩრდილო დასავლეთით მეამბოხეებმა ბრძოლაში გამოიყენეს ქიმიური ყუმბარები. მეამბოხეებმა გაუშვეს მხრჩოლავი გაზები ინტერნაციონალური რაზმის 5 მეომარი. ამ გაზებისაგან დაზარალებული, ამჟამად საავადმყოფოში იმყოფება. ინტერნაციონალური რაზმის ერთერთი ათასეულის პოლიტკომისარმა განაცხადა, რომ 1 დეკემბერს მეამბოხეები ესროდნენ ყუმბარებს, რომლებიც აფეთქების დროს თეთრ კვამლს უშვებდნენ.

მეამბოხეების მიერ მომწამვლელ ნივთიერებათა გამოყენების შესახებ დაწვრილებითი ცნობები გადაეცათ ინგლისის პარლამენტის წევრებს, რომლებიც მადრიდში იმყოფებიან.

ინგლისის პრესა ესპანეთში გერმანიის ჯარების ჩასვლის შესახებ

ლონდონი, 2 დეკემბერი (საქდესი). „მანჩესტერ გარდიანი" ფიქრობს, რომ გერმანიის იმ ჯარების რიცხვი, რომლებიც ესპანეთში ჩავიდნენ, 6 ათას კაცს აღემატება. გაზეთის სიტყვით, მთავარი სიძნელე, რომელსაც გენერალი ფრანკო განიცდის, მდგომარეობს არა იარაღისა და სამხედრო მასალის ნაკლებობაში, რომლებსაც იგი საკმაო რაოდენობით ღებულობს გერმანიიდან და იტალიიდან, არამედ ადამიანთა ნაკლებობაში. ესპანეთში გერმანიის ჯარების ჩასვლის შემდეგ უნდა მოველოდეთ სერიოზული ბრძოლების განახლებას. ფრანკო უნდა დაეყრდნოს გერმანელებსა და იტალიელებს ვინაიდან იგი ვერ დაეყრდნობა თავის მიერ ზურგში მობილიზებულ ესპანელებს.

გაზეთი შემდეგ აღნიშნავს, რომ გერმანიის ჯარები, რომლებიც ესპანეთში ჩავიდნენ, წარმოადგენენ გერმანიის საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტს. დასასრულ გაზეთი სწერს, რომ გერმანიის ჯარების ჩასვლა ესპანეთში აძლიერებს საერთო დაძაბულობას ევროპაში.

შეკითხვა იდენს ბალეარის კუნძულებზე შექმნილი მდგომარეობის შესახებ

ლონდონი, 1 დეკემბერი (საქდესი). თემთა პალატაში შეკითხვის საპასუხოდ საგარეო საქმეთა მინისტრმა იდენმა განაცხადა, რომ ინგლისის კონსული პალმაში (ნავსადგური კუნძულ მაიორკაზე) იუწყებოდა ბალეარის კუნძულებზე შექმნილი მდგომარეობის შესახებ; ზოგიერთი მისი ცნობა, რომლებშიაც აღნიშნული იყო ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის შეთანხმების დარღვევა, გაეგზავნა საერთაშორისო კომიტეტს.

ლეიბორისტი ბეიკერი შეეკითხა, იცის თუ არა იდენმა, რომ მრავალი იტალიელი ოფიცერი იმყოფება ბალეარის კუნძულებზე, სადაც ფაქტიურად ბატონობენ იტალიის ჯარები; „აპირობს სთხოვოს თუ არა იდენი მიიღოს რაიმე ზომები, რათა დაგვანახვოს, რომ ჩაურევლობის საერთაშორისო კომიტეტი არ წარმოადგენს ნამდვილი მდგომარეობის დაფარვის საშუალებას".

იდენმა უპასუხა, მშვენივრად ვიცი, რომ კუნძულ მაიორკაზე იმყოფებიან იტალიელი მოხალისენი სწორედ ისევე, როგორც ხსენებული მოხალისენი იმყოფებიან ესპანეთის სხვა ნავსადგურებში. „მეეჭვება ამას, — დაძინა იდენმა, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია მხოლოდ ეს საკითხი განვიხილოთ".

◇ ◇ ◇

ედგარ ანდრეს უკანასკნელი წერილი

ბრიუსელი, 2 დეკემბერი (საქდესი). ბელგიის კომპარტიის ორგანო „ვუა დიუ პეპლი" აქვეყნებს სიკვდილით დასჯილი გერმანელი კომუნისტის ედგარ ანდრეს უკანასკნელ წერილს, რომელიც გაუგზავნია ძმისთვის. წერილი დაწერილია სიკვდილით დასჯის ორი საათით ადრე. ამ წერილში ანდრე სწერს:

„მე მუდამ ვცდილობდი შემესრულებინა ჩემი ვალი და ვფიქრობ, რომ ეს მე შევძელი. მე ვკვდები როგორც პატიოსანი, საკუთარი რწმენის ერთგული ადამიანი".

◇ ◇ ◇

ამერიკის სახელმწიფოთა კონფერენცია

ნიუ-იორკი, 1 დეკემბერი (საქდესი). ბუენოს-აირესში (არგენტინის დედაქალაქი) გახსნილ ამერიკელ სახელმწიფოთა კონფერენციას ესწრება 175 დელეგატი, რომლებიც წარმოადგენენ ამერიკის 21 სახელმწიფოს. არგენტინის პრეზიდენტმა ხუსტომ გახსნა კონფერენცია და განაცხადა: კონფერენცია მოწვეულია მშვიდობიანობის განსამტკიცებლად ამერიკის კონტინენტზე.

◇ ◇ ◇

იაპონიაში შეშფოთებას იწვევს იაპონია-გერმანიის შეთანხმების შედეგები

ტოკიო, 1 დეკემბერი (საქდესი). იაპონიის ყველა გაზეთი [illegible] აღიარებს, რომ იაპონია-გერმანიის შეთანხმების დადებამ უკიდურესად გაართულა იაპონიის საერთაშორისო მდგომარეობა. გაზეთების სიტყვით, ხიროტას მთავრობა ცდილობს შეანელოს იაპონიისათვის მეტად არასასიამოვნო შთაბეჭდილება, რაც სახელმწიფოთა უმეტესობაში ამ შეთანხმების დადებამ გამოიწვია. „ასახი" ხაზს უსვამს, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრო განსაკუთრებით შეშფოთებულია ინგლისის დამოკიდებულებით, რომელიც ფიქრობს, რომ იაპონია-გერმანიის შეთანხმება აძლიერებს იტალია-გერმანიის ბლოკის პოზიციებს. ამიტომ საგარეო საქმეთა სამინისტროს განზრახული აქვს „პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში დაარწმუნოს ინგლისი, რომ, თუმცა შეთანხმების დადება კომინტერნის წინააღმდეგ მიმართული იყო [illegible] იაპონია მაინც [illegible] ინგლის-იაპონიის მეგობრობის წახალისების პოლიტიკა".

დომეი ცუსინის სააგენტო აღნიშნავს, რომ ზედა პალატის პოლიტიკურ პარტიებსა და ჯგუფებს მეტად აფიქრებთ იაპონიის საერთაშორისო მდგომარეობის გაუარესება, რაც იაპონია-გერმანიის შეთანხმებით არის გამოწვეული. კერძოდ, [illegible] პარტიის ხელმძღვანელობამ უკვე შექმნა სპეციალური კომისია ამ საკითხის შესასწავლად, მან განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო საგარეო საქმეთა მინისტრ არიტას როლს ამავე დროს, განაგრძობს სააგენტო, „კენკიუკაი" ჯგუფი, რომელიც აერთიანებს ზედა პალატის უმრავლესობას, აგრეთვე ზედა პალატის სხვა ჯგუფებსაც მეტად აფიქრებს იაპონია-გერმანიის შორის უკვე დადებული და იტალია-იაპონიის შორის უახლოეს დღეებში დასადებად განზრახული შეთანხმების შესაძლო შედეგები. ამიტომ „კენკიუკაი" წინადადებას მისცემს საგარეო საქმეთა სამინისტროს, რათა მან ჯგუფის მორიგ კრებაზე 4 დეკემბერს გააკეთოს მოხსენება თუ რა მდგომარეობაა შორეულ აღმოსავლეთსა და ევროპაში.

საგარეო ვაჭრობისა და შინავაჭრობის მუზეუმი

სურათზე: მუზეუმის გამგე ამხ. ალ. ლეჟავა ბეწვეულობის განყოფილებაში ახსნა-განმარტებას აძლევს [illegible] ქარხნიდან მოსულ სტახანოველ მუშათა ექსკურსიის ერთერთ ჯგუფს საექსპორტო ბეწვეულის მნიშვნელობაზე.

ფოტო რ. აკოფოვისა.

კეცხოველის ქუჩა № 5

თბილისში ძველად ამ ქუჩის ბანკების უბანს ეძახდნენ. აქ იყო სათავადაზნაურო, სამრეწველო, სააქციონერო და სახელმწიფო ბანკები და ამ ბანკებს იმოდენა შენობები ეკავათ, რომ ყოფილ ლორის-მელიქოვის ქუჩაზე მეტი ადგილი არ რჩებოდა.

ყოფილი სამრეწველო ბანკის ორ მოზრდილ დარბაზში ახლა გახსნილია საგარეო ვაჭრობისა და შინავაჭრობის მუზეუმი. მუზეუმთან მოწყობილია 5 განყოფილება.

პირველ განყოფილებაში თავმოყრილია ძვირფასი მასალა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის აღორძინებული მდგომარეობის დასახასიათებლად. ამ განყოფილებაში ცალკე ადგილი აქვს მიკუთვნებული ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს და კერძოდ საქართველოს.

მეორე განყოფილებაში გამოფენილია საექსპორტო პროდუქცია. ყველა სახისა და დანიშნულების პროდუქციის ნიმუშებია აქ გამოფენილი: თევზის ნაწარმი (თევზის ქონი, თევზის ზეთი, ტყავი, ძვლები სამკაულების გასაკეთებლად, თევზის კონსერვები და სხვ.), ლითონის ნაწარმი, ქსოვილები, ხილეული, მაგარი სასმელები, ხმელი ხილი, ქერქები, თამბაქოს პროდუქცია და სხვა.

ცალკე კუთხე აქვს დათმობილი აღმოსავლეთ ანატოლიასთან (თურქეთი) ვაჭრობის განყოფილებას. აქ გამოფენილია უმთავრესად ის საქონელი, რომელიც გააქვთ ამიერ-კავკასიიდან და საქართველოდან.

ყველაზე მეტ ინტერესს იპყრობს მეოთხე განყოფილება, სადაც შედარებისათვის გამოფენილია უცხოეთის, უმთავრესად დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან შემოტანილი ფართო მოხმარების საქონელი. ამ განყოფილებაში წარმოდგენილია ის საქონელი, რომლის დამზადება და გამოშვებაც შეუძლიათ თბილისის ქარხნებსაც, და რომლის ათვისებაზედაც უკვე მუშაობენ მსუბუქი მრეწველობის საწარმოები. გალსტუხები, სხვადასხვა ფერისა და სურათისა, უახლეს მოდათა შესაბამისად მოქსოვილი აბრეშუმეულობა, საოჯახო მოხმარების მრავალგვარი საგანი, გასაღებები, ტანსაცმლის ჩამოსაკიდებლები, პარფიუმერია, საბავშვო სათამაშოები, სარკეები, სამაჯურები და მრავალი სხვა საქონელია აქ გამოფენილი.

მეხუთე განყოფილება დათმობილი აქვს უცხოეთის მრეწველობის უკანასკნელ მიღწევათა აღწერასა და სხვა მასალებს. აქვე წარმოდგენილია სხვადასხვა ფირმათა კატალოგები, სარეკლამო მასალა და მრავალი ლიტერატურა.

მუზეუმი დიდძალ მნახველებს იზიდავს.

◇ ◇ ◇

საქართველოს მარმარილო — საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეში

საბჭოთა კავშირში საქართველოს მარმარილომ დიდად გაითქვა სახელი. თითქმის ყველგან მონუმენტალური შენობების მოსაპირკეთებლად ხმარობენ უმთავრესად საქართველოდან გატანილ მარმარილოს, რომელზედაც მოთხოვნილება მშენებლობის ზრდის პარალელურად იზრდება. საქართველოს მარმარილოს მრეწველობის ტრესტმა გადაწყვიტა ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად თბილისში აეგოს მარმარილოს დამმუშავებელი ქარხანა, რომელმაც ყოველწლიურად უნდა გამოუშვას 30.000 კვადრატული მეტრი მარმარილო. ჯერ ... ცალკე მუშაობით ამ ქარხნის მშენებლობა უკვე დაწყებულია და 1 იანვრისათვის ერთი სახერხი კორპუსი მზად იქნება მანქანებისა და მოწყობილობების დასადგმელად.

მარმარილოს დამმუშავებელი ქარხანა ამუშავდება მომავალი წლის პირველ ნახევარში. ქარხანას რომ მუდამ ჰქონდეს საკმაო რაოდენობის გადაუმუშავებელი მარმარილო, გადაწყვეტილია მარმარილოს კარიერების გაფართოებაც. ფერადი მარმარილოს ქვები ქარხანაში შეიზიდება სადახლოს, შროშის, სალიეთის (ზესტაფონის რაიონი), ძანიძის (ვარდისფერი მარმარილო), ბანისხევის (ბორჯომის რაიონი) და ჰორჰანის (გორის რაიონი) კარიერებიდან.

გადაწყვეტილია მომავალ წელსვე ფართოდ გაიშალოს მუშაობა ლოპოტის (ახმეტა) კარიერებზე. ლოპოტაში მოიპოვება თოვლივით თეთრი, ე. წ. სკულპტურული მარმარილოს მდიდარი საბადო. ამ საბადოზე მოპოვებითი სამუშაოების გასაშლელად საჭიროა ახალი გზატკეცილის გაყვანა 11 კილომეტრის მანძილზე. საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა 1937 წლის ბიუჯეტში შეიტანა ის თანხა, რომელიც საჭირო იქნება აღნიშნული გზატკეცილის გასაყვანად.

საქართველოს მარმარილოზე 1937 წლისათვის მოთხოვნილებები მიღებულია მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან, სვერდლოვსკიდან და მრავალი სხვა ქალაქიდან. მომავალ წელს, თბილისის მარმარილოს დამმუშავებელი ქარხანა დაიწყებს თეთრი და ფერადი მარმარილოს გამოშვებას ფართო მოხმარების ბაზარზე.

სპორტი

საკავშირო შეჯიბრება ფრანგულ ჭიდაობაში

24 ნოემბერს, მოსკოვში დამთავრდა საკავშირო ინდივიდუალური პირველობის გათამაშება ფრანგულ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ კავშირის 66 ძლიერესი მოჭიდავე. თბილისიდან შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ძეკონსკი, დოლიძე, ჩიხლაძე და ჯავახიშვილი. გასულ წელს ნახევრად მსუბუქ წონაში ამხ. ძეკონსკიმ საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სახელი მოიპოვა. მიმდინარე შეჯიბრებაში მან ერთხელ კიდევ დაამტკიცა სასპორტო ტექნიკის მაღალი ხარისხი — შესძლო ყველა მოწინააღმდეგის დამარცხება და საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სახელწოდება კვლავ მას დარჩა.

პირველი ადგილი და საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სახელი მოიპოვა ნახევრად მძიმე წონის ჩიხლაძემ. ფიზიკურმა ძალამ და ტექნიკის მაღალმა ხარისხმა ცხადჰყო მისი აშკარა უპირატესობა, რომელიც მან საბჭოთა კავშირის ცნობილ მოჭიდავეებთან შეხვედრაში გამოამჟღავნა.

საშუალო წონის დოლიძემ შეჯიბრების პირველსავე დღეს დაამარცხა ისეთი ცნობილი მოჭიდავეები, როგორიც არიან გურევიჩი და ზროლენკო, მაგრამ შემდეგში ხელი დაიზიანა და გამოვიდა პირველობის გათამაშებიდან.

მშვენივრად ჩაატარა შეჯიბრება მძიმე წონის ჯავახიშვილმა.

შ. ფ—ძე

◇

ახალი ამბები

# ცეცხლგამძლე დინამიური ცემენტის დასამზადებლად დაწყებულია ცდები თბილისის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. დინამიური ცემენტი ახალი სამშენებლო მასალაა და მასზე დიდი მოთხოვნილებაა მრეწველობაში.

# სახკომსაბჭომ მიიღო დადგენილება, რომ წარმოება-დაწესებულებებმა მოთხოვნისთანავე გაანთავისუფლონ ის მუშაკები, რომლებიც დროებით მობილიზებულნი არიან მოსახლეობის საყოველთაო აღწერაში მონაწილეობის მისაღებად.

# თბილისის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტებთან ეწყობა გამომგონებელთა ბიუროები, რომელთაც გამომგონებლების საზოგადოება მისცემს მრეწველობის სხვადასხვა დარგიდან მიღებულ თემატიურ დავალებებს.

გეოლოგიური პარტიის მუშაობა კასპში

ა.-კ. გეოლოგიურმა ტრესტმა წელს, აგვისტოში გაგზავნა გეოლოგიური პარტია კასპში. პარტიის მიზანი იყო საცემენტე კირქვებისა და თიხების შესწავლა და საექსპლოატაციო ძიების ჩატარება.

გეოლოგიურ პარტიას ხუთ ნახევარ თვეში, ე. ი. იანვრის შუა რიცხვებამდე, უნდა დაემთავრებინა ყველა გეოლოგიური სამუშაო, როგორც საველე, ისე კამერალური, და მოეცა კირქვების დაზუსტებული მარაგი არა ნაკლებ 12 მილიონ ტონისა და თიხების არა ნაკლებ 2 მილიონ ტონისა ამის შემდეგ კასპის ახალი ცემენტის ქარხნის პროექტის დამტკიცება მოხდებოდა.

კირქვების მარაგის ზუსტი კონტურის გასაზღვრისათვის, გეგმის მიხედვით პარტიას უნდა გაეყვანა 1200 გრძივი მეტრი თითო შურფის საპროექტო სიღრმე უდრიდა 20-25 მეტრს თიხებზეც ხდებოდა შურფებით ძიება, მისი მარაგის კონტურის გასასაზღვრავად საჭირო იყო 300 გრძივი მეტრის გაყვანა.

გეოლოგიურმა პარტიამ სამუშაოს დაწყების დღიდანვე ტექნიკური ხელმძღვანელის — ინჟ. მონცელიძის მეთაურობით ფართოდ გაშალა მუშაობა, რის შედეგად თიხებზე მუშაობა დამთავრდა ერთი თვის განმავლობაში და მიღებული იქნა 2,5 მილიონი ტონა თიხის მარაგი. შემდეგ პარტიამ მუშაობა დაიწყო კირქვებზე და 7 ნოემბრისათვის დაამთავრა ეს სამუშაოც.

აღსანიშნავია სტახანოველი მუშების ენერგიული ბრძოლა გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. სტახანოველები: ანტიპოვი, ც. პატიაშვილი, ედოვინი, ლაშხი, გოლიკოვი, აზმაიფარაშვილი, სიდოროვი გეგმას 200 პროცენტზე მეტით ასრულებდნენ. ტექნიკური პერსონალიდან აღსანიშნავია სტახანოველი ტექნიკოსი ამხ. პ. დავითაშვილი, რომელიც დასინჯვაზე მუშაობდა და გეგმას 500 პროცენტით ასრულებდა. 5 მეტრის ნაცვლად სინჯავდა 25 გრძივ მეტრს.

ამ დღეებში გეოლოგიური პარტია მოაწყობს მასალის კამერალურ დამუშავებას და გეგმაზე ადრე მისცემს თავისი ანგარიშის დასკვნას.

ვ. თამაზაშვილი

პროფ. პროზნი — ხეთების ხალხები და ენები

2 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბში შედგა პროფესორ ბედრჟიხ პროზნის პირველი ლექცია ხეთების ხალხებისა და ენების შესახებ.

უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გ. ორაგველიძე მიესალმა უცხოელ მეცნიერს, მეგობრული ჩეხოსლოვაკიის მეცნიერების წარმომადგენელს პროზნის. დამსწრე საზოგადოება მქუხარე ტაშით შეხვდა მომხსენებელს.

პროფესორმა პროზნიმ თავის მოხსენებაში, რომელმაც ორ საათამდე გასტანა, მოხაზა „ხეთოლოგიის" საფუძვლები და ძირითადი საკითხები.

ჩემი მეცნიერი არსებითად ეყრდნობა პირველად მის მიერ წაკითხულ ხეთურ ლურსმულ წარწერებს. ახალმა მეცნიერებამ, ხეთოლოგიამ, რომელიც სულ 21—22 წელი არსებობს, გადაატრიალა ჩვენი შეხედულებები უძველეს ისტორიაზე — სთქვა მან.

პროფესორ პროზნის პირველი გამოსვლა ამ თემაზე (1915 წელს) მეცნიერთ მკრეხელობად მოეჩვენათ, მაგრამ დღეს, მისი შრომების წყალობით, ეს თეორია ყველამ ჭეშმარიტებად აღიარა.

ამ თეორიის თანახმად, ცნება „ხეთები" შეიცავს ექვს მონათესავე ხალხს. ოთხი მათგანი ინდო-ევროპულ ხალხთა ოჯახს ეკუთვნის (პროფ. პროზნი ამტკიცებს ამას მონათესავე სიტყვების მოყვანით), ორს კი კავშირი უნდა ჰქონდეს კავკასიურ ენებთან, მაშასადამე, ხეთური არის უძველესი ინდო-ევროპული ენა, რომელიც ძალიან ადრე ჩამოშორდა ამ ენათა ოჯახს, რითაც ხსნის პროზნი ენის კანონთა ზოგიერთ სხვაობას.

დამსწრე საზოგადოებამ მადლობა გადაუხადა მომხსენებელს.

დღეს, 4 დეკემბერს, შესდგება პროფესორ პროზნის მეორე ლექცია, რომელიც უმთავრესად ხეთურ იეროგლიფებს (იდეოგრამებს) შეეხება.

◇

კრებები

— თბილისის საბჭოს წითელ დარბაზში დღეს, საღამოს 8 ს. გაიმართება საინსტრუქციო მოხსენება კანტონის კომუნის 9 წლისთავის შესახებ.

— მწერალთა სასახლეში დღეს საღამოს გაიმართება ბელორუსიისადმი მიძღვნილი საღამო. საღამოზე თავიანთ ნაწარმოებებს წაიკითხავენ მწერლები, რომლებიც ამ რამდენიმე თვის წინათ გაგზავნილი იყვნენ ბელორუსიაში ცოცხალი ლიტერატურული კავშირის დასამყარებლად ბელორუსიისა და საქართველოს მწერლებს შორის.

— განათლების მუშაკთა სახლში დღეს, საღამოს 8 ს. პროფ. გ. ნანეიშვილი წაიკითხავს ლექციას „საარჩევნო სისტემა კაპიტალისტურ ქვეყნებში". დასწრება თავისუფალია.

— 5 დეკემბერს, საღამოს 8 ს. მწერალთა სასახლეში გაიმართება მწერალ გ. ჯავახიშვილის მოხსენება მწერალ რ. გვეტაძის რომანის „ლაშქრის სალამოების" შესახებ. დასწრება შეუძლიათ მხოლოდ მწერლებსა და მოწვეულ პირებს.

◇

შემთხვევები

# ავარია. შოფერმა გ. მ. ხარატურიაშვილმა, რომელიც მართავდა საბარგო ავტომანქანას № 2—38, [illegible] დიდი სისწრაფე და შოვნიანის ქუჩაზე დაეჯახა ელექტრონის ბოძს. მანქანა დაიმსხვრა. ხარატურიაშვილი დააპატიმრეს და პასუხისგებაში აძლევენ.

# უბედური შემთხვევა. 2 დეკემბერს დღისით მოქ. ლ. ვ. დვორჩენკოვი, რომელიც ჩელუსკინელთა მოედანზე შეუდგა გადმოსვლას მე-2 მარშრუტის ტრამვაის ვაგონიდან, ჩავარდა მისაბმელ ვაგონქვეშ. თვლებმა მას მოსწყვიტა ორივე ფეხი.

ა. ი. ანეკიშვილი (მილორის ქ. 18) ორჯონიკიძისა და საბიროს ქუჩების კუთხეში გადმოხტა № 1 მარშრუტის ტრამვაის ვაგონიდან და მოჰყვა მისაბმელ ვაგონქვეშ. ვაგონის თვლებმა მას მარცხენა ფეხი გადასჭრა. ანეკიშვილი საავადმყოფოში მოათავსეს.

# ბოროტმოქმედის დაპატიმრება. ქალაქის მილიციის მე-3 განყოფილების თანამშრომლებმა 2 დეკემბერს დააპატიმრეს თბილისში არალეგალურად მცხოვრები შ. ჯ. ლომიძე, რომელიც მთელი რიგი ქურდობისათვის გასამართლებული იყო და გაქცეული შრომა-გასწორების ბანაკიდან. მილიციის მე-3 განყოფილებაში [illegible] ლომიძე კვლავ შეეცადა გაქცევას, მაგრამ შეიპყრეს.

# გაუფრთხილებელი სვლა. 1 დეკემბერს დღისით მელაქის ქუჩაზე საბარგო ავტომანქანა № 29—39 დაეჯახა [illegible] მიმავალ მ. ა. ჩარკვიანს (არდონის ქ. 11) და დაამტვრია. შოფერი და [illegible] პასუხისგებაში აძლევენ.

სასამართლო

გასამართლებული — მოსამართლე

[illegible] რაიონის [illegible] მოსამართლე გრიგორიანი [illegible] როდესაც დაეჯერებოდა.

მისი აზრით, წეროძანია, რასაკვირველია, თუ სამართლის მაძიებელი მოქალაქის მარკის ფული, სასამართლოში საჩივრის გაცხადების შეტანისას გაღებული, თვითონ იჯდება, განცხადებაზე კი ბეჭედს დაკვრა „დაავიწყდა", წეროძანია აგროვებს სახელმწიფო ბაჟის თითქმის [illegible].

ან კიდევ: ვიქცეთ ამა თუ იმ დანაშაულისათვის, თუნდაც სულ უბრალო საქმისათვის გრიგორიანმა გაგასამართლათ... საქმე გაირჩა და ახლა გულისფანცქალით ძიებს ელით... აი მოსამართლეც შემოდის დარბაზში. სულგანაბული უცდით განაჩენის წაკითხვას. მაგრამ თქვენს წინ მოულოდნელი სურათი იშლება: გრიგორიანი ზეპირად აცხადებს მას — პაუზებით, სიტყვათა ძებნით, ცოტა არ იყოს ყოყმანით, ეს კიდევ არაფერი, თქვენ ერთობით [illegible], უტყუარ მეხსიერებას, დარწმუნებული ხართ, რომ ნათქვამი უცვლელად იქნება ქაღალდზე [illegible] და საქმეში ჩაკერებული. მაგრამ [illegible]! გრიგორიანი საქმეში თავისი და სახალხო მსაჯულთა მიერ ხელმოწერილი განაჩენის სუფთა ბლანკს ჩააკერებს და თავის საკუთარ ბინაზე უფრო წყნარად, მოფიქრებულად მხოლოდ მაშინ შეავსებს და გააფორმებს, როცა საქმე მოსამართლისთვის სახეირო პირი გამოჩნდება.

ასე მოექცა გრიგორიანი სოფელ შამშიოღლის, სარა კელი-ოღლის და ხუთ კიდევ სხვა ბრალდებულს. მოსამართლემ ისინი სამას-სამასი მანეთით დაჯარიმა, განაჩენში კი ორასი მანეთი აღნიშნა. იგივე გაიმეორა თემურ ასან-ოღლისა და ჯაბრაილ მამედ-ოღლიზე: განაჩენში აღნიშნული 50 მანეთის ნაცვლად თვითეულს 500-500 მანეთის გადახდევინება დააკისრა.

ამგვარმა „ტექნიკამ" შეცდომებმა გრიგორიანს ყურადღება უფრო გაამახვილა, თუ პირველ წელს იგი ახალ თანამდებობას ეჩვეოდა, მეორე, 1936 წელს, იგი „გამოჩერჩეტებული და გამოცანგული" შეიქმნა, რომ ხანდახან, საქმის თუ პატრონი არ გამოჩნდებოდა, განაჩენს სულაც არ დასწერდა ან თუ მოისურვებდა, ექვსი თვის შემდეგ ამოწყვეტილიყო თავის კალამს.

— ჩვენს წარმოებაში ერთმა დიდმა [illegible] საჩივარი ჰქონდა, — ამბობს ჩემთან [illegible] რაიონის სასამართლოს მდივანი [illegible]. გრიგორიანმა ბევრჯერ უმიზეზოდ გადასდო მისი საქმის გარჩევა. ერთხელ, მახსოვს, მართლმსაჯულების დამიწყო სიტყვა ხელში საქმეზე ყალბ ჩვენებებით ქარხანას [illegible] — როგორ შეიძლება, თუ [illegible] წლით სასამართლო ორგანოებში ვმსახურობ და ასეთ რამეს არსად შევხვედრილვარ!?

— მაგაზე მე ვაგებ პასუხს, ვინა გკითხავს სწორეს!

იძულებულმა, მოსამართლის ბრძანება შეასრულა. მაგრამ ჩემში საბჭოთა მოქალაქის სინიდისი ამხედრდა. თავი ვალდებულად ჩავთვალე ამ საზიზღრობაზე ხმა ამომეღო და კიდეც გავილაშქრე მის წინააღმდეგ.

(ხალხი, მოსამართლის უკანონობა და სიყალბე საქმის [illegible] რაიონის მშრომელთა თვალში საბჭოთა მართლმსაჯულების ავტორიტეტს უკარგავდა.

მალე „მადიდებულმა" მოსამართლე თვითონ გაასამართლეს. უზენაესმა სასამართლომ ამხ. მარჯანიშვილის თავმჯდომარეობით, [illegible], ამ საქმეზე პარტიიდან გარიცხულ გრიგორიანს სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

მერი ბურდული

◇

გზის მშენებლობა მალე დამთავრდება

ზემო სვანეთის მშრომელები იბრძვიან სვანეთის გზის მშენებლობის ვადაზე ადრე დამთავრებისათვის. გზის მშენებლობაზე 20 ოქტომბრიდან გამოცხადდა ამხ. ბერიას სახელობის ლაშქრობა.

ამჟამად გზაზე ათას რვაასამდე კაცი მუშაობს. გასაკეთებელი დარჩა მიწისა და კლდის სამუშაოები ერთ კილომეტრზე.

სვანეთის მშრომელი ხალხი სულ ახლო ხანში უპატაკებს პარტიას და მთავრობას გზის მშენებლობის მიმდინარე წელს დამთავრებას.

გ. ქობალია.

◇

პარტკალენდარი

— **ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში** დღეს, საღამოს 7 საათზე, პროპაგანდისტებისა და აგიტატორებისათვის გაიმართება მოხსენება თემაზე: „სსრ კავშირის კლასობრივი სტრუქტურის შესახებ". მომხსენებელია საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის სკოლებისა და მეცნიერების განყოფილების გამგე ამხ. პ. შარია.

ლენინის ორდენოსანი რუსთაველის თეატრი

4-XII	ნაბიჭვარი
5-XII	შემოდგომის აზნაურები

მარჯანიშვილის სახ. თეატრი

4-XII წარ. № 48	მზის დაბნელება საქართველოში
5-XII წარ. № 49	შორეული

სახცირკი ტელ. 3-11 44

6/XII დღისით 2 წარმ. ბავშვებისთვის, დასაწყ. 12 და 2 ს.

დღეს 4 დეკემბერს დიდი საცირკო წარმ. 3 განყოფილებად. პროგრამის მე-2 ციკლი. მწვრთნელ ლი-ბუძარა მ ზოლლო თავისი ოთხფეხი არტისტებით. უცხო არტისტთა და ახალ გასტროლიორთა გამოსვლა. დასაწყ. 8 ს. 30 წ. სალარო 12-2 ს. და 5 ს-დან.

დღეს საკინოთეატრებში

ოქტომბერი 6-30 8-30, 10-30	ჩარლი ჩაპლინი ხმოვან სურათში ქალაქის ჩირაღდნები
დამკვრელი 6-45, 8 45, 10 45	ხმოვანი ფილმი ცირკი ლ. ორლოვას მონაწილეობით
კომკავშირი 6 .0,8.9-.0.11	ხმოვანი დოკუმენტალური ფილმი კიროვი
რ. ლუქსემბურგის სახ. 6 4- 8 45,10-4	ფერადი ხმ. ფილმი გრუნია კორნაკოვა
26 კომ. სახ. 6 30, 8-40 10-30	ხმოვანი [illegible] ფილმი გამარჯვებულთა თაობა
ახალი ამბები	[illegible] მე-7 და მე-8 გამოშვება.

მიიღება ხელისმოწერა

საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობა

„კომუნისტი"

ყველა გამოცემაზე 1937 წლისათვის.

გაზეთები

კომუნისტი — ყოველდღიური.
ახალგაზრდა კომუნისტი — "
ნორჩი ლენინელი — ექვსდღიური.

ჟურნალები

ბოლშევიკი — ყოველთვიური.
პარტიული მშენებლობა — თვეში ორჯერ.
ახალგაზრდა ბოლშევიკი — ყოველთვიური.
მშრომელი ქალი — ყოველთვიური.

საბავშვო ჟურნალები

ოქტომბრელი — ყოველთვიური.
პიონერი — "

ხელისმოწერა უნდა ჩაბარდეს „სოიუზპეჩატს", ფოსტის წერილამტარებლებს, ხელისმოწერის შემკრებთ საწარმოებსა და დაწესებულებებში, პოლიტგანყოფილებათა გაზეთების გამომცემლობებს ტრანსპორტზე.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომც. „კომუნისტი".

ა-წ. 6 დეკემბერს, დილის 10 საათზე, ლაგოდეხში შესდგება

მე-3 ანტიმალარიული კონფერენცია

დღის წესრიგი:

1. ბრძოლა მალარიის წინააღმდეგ საქართველოში. მომხს. საქ. ჯანსახკომი ამხ. მაგალაძე.
2. მოხს. სოფლის საბჭოების და კოლმ. [illegible] თავმჯდომარეების მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ
3. მოხს. ტროპ. სადგურის მუშაობის შესახებ. მომხსენებელი ამხ. [illegible] ედიბარაშვილი.

საქ. ტროპ. სადგურის გამგეებს და მოწ. ამხანაგებს ვთხოვთ დაესწრონ.

ლაგოდეხის რაიონის ტროპ. სადგურ. დირექტორი ექ. ბ. ედიბარაშვილი.

16597 ლაგოდეხის ჯანგანყ. გამგე [illegible] ექ. ს. [illegible]

სამოქ. ს.-მ. კოდ. 354 მუხ. თ ნაწილ. ორჯონიკიძის რაიონის სასამართლოს აღმასრულებელი ს. ი. ქუჩაიშვილი აცხადებს, რომ 1936 წ. 7 დეკემბერს დილის 1 საათზე, ქ. თბილისში, [illegible] ქ. № 12,

საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის

არტელ „კავშირის" კუთვნილ აგურის საწვავ ქურას 13 კამერით. ქურა შეფასებულია 25000 მანეთად და გაიყიდება თბილისის ენერგეტიკული [illegible] ინსტიტუტისა და ორჯონიკიძის რაიონის [illegible] დასაკმაყოფილებლად. [illegible] არბიტრაჟის ბრძანებისა № 3 898 — 3 486 და ორჯონიკიძის რ-ის სახალხო სასამართლოს მიერ გაცემული აღსასრულებელი ფურცლისა № 2-153. 16598

საქ. პურტრესტის ხაშურის პურის ქარხანა

[illegible] ა. წ. 13 აპრილს, № 23, [illegible] 10-0-115

საქ. მარგანსაღება ფოთის განყოფილება

[illegible] 1936 წ. 17 თებერვალს, № 19, [illegible] 105—6 [illegible] ფოთი, [illegible] ქუჩა, № 12.

თავმჯდომარე დ არჩია.

მთ. ბუღალტერი გოგიჩაიშვილი.

1084

სრულიად საქართველოს „სარეწაო კავშირის" სისტემის არტელ „რემობუვის"

დასკვნითი ბალანსი

1936 წ. 1 იანვრისათვის

№№ რიგ.	აქტივი: მუხლების დასახელება	თანხა	№№ რიგ.	პასივი: მუხლების დასახელება	თანხა
1	ძირითადი საშუალებანი	47.539—86	1	ფონდები	62.296—15
2	კაპიტალური დაბანდებანი	4000——	2	მიზნობრივი რეზერვები	2.377—02
3	საწარმოო მარაგები	81.061—41	3	გრძელვადიანი კრედიტები	17.72 38
4	ფულადი საშუალებანი	71.539——	4	ანგარიშსწორებანი	35.069—48
5	საშუალებანი ანგარიშსწორებებში	18.151—90	5	დაგროვებანი	149.33 31
6	განაწილებული საშუალებანი	50.958—17			
	ბალანსი	263548—84		ბალანსი	266 549—34

არტელის თავმჯდომარე: ხახუტი. მთ. ბუღალტერი: თუთბერიძე.

დამტკიცებულია „სარეწაო კავშირის" საბალანსო კომისიის მიერ.

16?7

მისამართები. რედაქციის — თბილისი. რუსთაველის პროსპექტი № 16 გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტ № 34 ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილეების: 3—63—03 და 3—08—67, სამდივნოსი 3 06 88, განყოფილებებისა: პარტიული — 3—57—61, სასოფლო სამეურნეოსი 3—73 40 მშრომელთა წერილების 3—73—24, ღამის რედაქტორის 3—26—67, გამომცემლობის 3—51—81, სტამბის დირექტორის—3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული ბ. 8560